

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 26 ივნისის №01-06/07
მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო

სამსახურის უფროსი: ევა გოგუაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

2. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: ბადრი სურმანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევამე

3. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: ბადრი სურმანიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევამე

4. ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭინკაძეების უსახელო გეოგრაფიული ობიექტისთვის სახელის მინიჭების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

5. „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების

სამსახურის უფროსი: გულადა წითელაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების

საკითხების კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

6. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი: მუხრან სალაძე

7. შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს 2025 წლის საქმიანობის ანგარიში.

მომხსენებელი: ა(ა)იპ „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს

დირექტორის მოადგილე: ბადრი მახარაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ამირან დევამე

8. ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“-ს 2025 წლის საქმიანობის ანგარიში.

მომხსენებელი: ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“-ს

დირექტორის მოადგილე: რომან ქობულაძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და

ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე; ლევან ბერიძე



ქედის მუნიციპალიტეტის
2026 წლის ბიუჯეტის
პროექტი



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № --

2026 წლის --- ივნისი

დაბა ქედა



„ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №17 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: სსმ, ვებგვერდი www.matsne.gov.ge, 29/12/2025, სარეგისტრაციო კოდი:190020020.35.134.016410) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 და დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1-ლი ივლისიდან.

ქედის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

თავი I

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის ფაქტი
I. შემოსავლები	26 007 312	31 163 885	34 236 935
გადასახადები	17 130 694	19 928 719	21 248 400
გრანტები	8 355 506	10 618 380	12 578 175
სხვა შემოსავლები	521 112	616 786	410 360
II. ხარჯები	17 864 521	22 866 431	24 315 607
შრომის ანაზღაურება	6 881 806	8 511 499	9 654 764
საქონელი და მომსახურება	3 846 412	4 606 606	4 858 368
პროცენტი	5 265	2 885	1 500
სუბსიდიები	3 118 151	3 886 025	4 422 380
გრანტები	1 700	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	1 843 415	1 962 293	2 030 500
სხვა ხარჯები	2 167 771	3 897 124	3 348 095
III. საოპერაციო სალდო	8 142 791	8 297 454	9 921 328
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	8 391 065	8 136 662	10 521 267
ზრდა	8 410 640	8 141 062	10 591 267
კლება	19 575	4 400	70 000
V. მთლიანი სალდო	-248 274	160 792	-599 939
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-275 064	134 002	-614 339

ზრდა	0	134 002	0
ვალუტა და დეპოზიტები		134 002	
კლება	275 064	0	614 339
ვალუტა და დეპოზიტები	275 064	0	614 339
VII. ვალდებულებების ცვლილება	-26 790	-26 790	-14 400
კლება	26 790	26 790	14 400
საშინაო	26 790	26 790	14 400
VIII. ბალანსი	0	0	0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის ფაქტი
შემოსულობები	26 026 887	31 168 285	34 306 935
შემოსავლები	26 007 312	31 163 885	34 236 935
არაფინანსური აქტივების კლება	19 575	4 400	70 000
გადასახდელები	26 301 951	31 034 283	34 921 274
ხარჯები	17 864 521	22 866 431	24 315 607
არაფინანსური აქტივების ზრდა	8 410 640	8 141 062	10 591 267
ვალდებულებების კლება	26 790	26 790	14 400
ნაშთის ცვლილება	-275 064	134 002	-614 339

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსავლები 34 236 935 ლარის ოდენობით

შემოსავლების სახეების დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა

შემოსავლები	26 007 312	31 163 885	34 236 935
გადასახადები	17 130 694	19 928 719	21 248 400
გრანტები	8 355 506	10 618 380	12 578 175
სხვა შემოსავლები	521 112	616 786	410 360

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 21 248 400 ლარის ოდენობით

შემოსავლების სახეების დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა	2026 წლის გეგმა
გადასახადები	17 130 694	19 751 500	21 248 400
გადასახადები ქონებაზე	464 016	730 000	700 000
გადასახადები უძრავ ქონებაზე	464 016	730 000	700 000
ქონების გადასახადი	464 016	730 000	700 000
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	384 873	697 000	667 000
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	5 776	3 000	3 000
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	8 008	0	0
ფიზიკური პირებიდან	6 768		0
იურიდიული პირებიდან	1 241		0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	65 358	30 000	30 000
ფიზიკური პირებიდან	4 044	2 000	2 000
იურიდიული პირებიდან	61 315	28 000	28 000
გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	16 666 678	19 021 500	20 548 400
საყოველთაო გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	16 666 678	19 021 500	20 548 400
დამატებული ღირებულების გადასახადი	16 666 678	19 021 500	20 548 400
საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან	6 254 638	5 842 000	5 861 535
იმპორტირებული პროდუქციიდან	10 412 040	13 179 500	14 686 865

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები(ტრანსფერები)

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტისბიუჯეტის გრანტები 12 578 175 ლარის ოდენობით

შემოსავლების სახეების დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა
გრანტები	8 355 506	10 618 380	12 578 175
სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	8 355 506	10 618 380	12 578 175
მიმდინარე	2 251 297	4 214 668	3 952 175
გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან	200 000	203 961	237 680
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	200 000	203 961	237 680
მიზნობრივი ტრანსფერი	0	104 488	237 680
სხვა	200 000	99 473	0
გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი ბიუჯეტიდან	2 051 297	4 010 707	3 714 495
გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	2 051 297	4 010 707	3 714 495
სპეციალური ტრანსფერი	2 051 297	4 010 707	3 714 495
კაპიტალური	6 104 208	6 403 713	8 626 000
გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან	0	223 000	0
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	0	223 000	0
სხვა	0	223 000	0
გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის ერთიანი ბიუჯეტიდან	6 104 208	6 180 713	8 626 000
გრანტები ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან	6 104 208	6 180 713	8 626 000
კაპიტალური ტრანსფერი	6 104 208	6 180 713	8 626 000

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 410 360 ლარის ოდენობით

შემოსავლების სახეების დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა
სხვა შემოსავალი	521 112	616 786	410 360
შემოსავალი საკუთრებიდან	201 299	170 841	145 000
პროცენტი	91 378	45 175	50 000
რეზიდენტებისგან, სხვა სამთავრობო სექტორის გარდა	91 378	45 175	50 000
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	91 378	45 175	50 000
რენტა	109 921	125 666	95 000
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	108 456	120 741	92 500
მოსაკრებელი წიაღით სარგებლობისათვის	70 000	56 500	55 000
მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის	36 283	43 791	30 000
მოსაკრებელი გარემოდან ამოღებული ტყის არამერქნული რესურსებით და ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისათვის	79	91	0
მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის	2 740	7 212	4 500
მოსაკრებელი გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე	451	612	500
სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი	-1 098	12 534	2 500
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	1 465	4 925	2 500
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	86 533	78 473	70 000
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	71 572	65 313	65 000
სანებართვო მოსაკრებლები	53 266	41 541	50 000

მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	53 266	41 541	50 000
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	18 290	23 755	15 000
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	16	16	0
არა საბაზრო დაწესებულების მიერ განხორციელებული გაყიდვები	14 961	13 161	5 000
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14 961	13 161	5 000
შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14 961	13 161	5 000
სანქციები, ჯარიმები და საურავები	36 326	56 010	40 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	32 126	52 513	30 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში	6 834	11 193	6 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) სახელმწიფო საკუთრების ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	2 400		2 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის სფეროში	1 064	1 879	1 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	19 358	38 093	20 000
საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო	17 958	27 798	17 000
უბილეთო მგზავრობის გამო		20	0,00
სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო ტრანსპორტზე საგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში	1 400	10 275	3 000

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	2 470	1 348	1 000
შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	4 200	3 497	5 000
შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)		0	5 000
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	196 955	311 462	155 360
მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	196 955	311 462	155 360
სხვა მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	196 955	311 462	155 360
სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი	1 607	-459	0
შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე	765	0	0
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	194 583	311 921	155 360

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯები 24 322 107 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა
ხარჯები	17 862 821	22 866 431	24 322 107
შრომის ანაზღაურება	6 881 806	8 511 499	9 654 764
საქონელი და მომსახურება	3 846 412	4 606 606	4 864 868
პროცენტი	5 265	2 885	1 500
სუბსიდიები	3 118 151	3 886 025	4 422 380
სოციალური უზრუნველყოფა	1 843 415	1 962 293	2 030 500
სხვა ხარჯები	2 167 771	3 897 124	3 348 095

მუხლი 8. არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 10 514 767 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 10 584 767 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის გეგმა
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1 004 918	307 450	136 300
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6 010 555	6 726 800	5 958 000
დასუფთავება და გარემოს დაცვა	258 378	0	0
განათლება	82 714	239 334	98 367
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	1 054 075	2 179 714	4 392 100
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0	425 600	0
სულ ჯამი	8 410 640	9 878 898	10 584 767

ბ) განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 70 000 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2025 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	19 575	4 400	70 000
ძირითადი აქტივები	0	0	50 000
არაწარმოებული აქტივები	19 575	4 400	20 000
მიწა	19 575	4 400	20 000

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 34 906 874 ლარის ოდენობით ფუნქციონალურ ჭრილში, მათ შორის:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2024 წლის ფაქტი	2025 წლის ფაქტი	2026 წლის ფაქტი
7	მთლიანი ხარჯები	26 275 161	31 007 493	34 906 874
7 1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5 638 124	5 771 847	6 784 382
7 1 1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 581 381	5 420 944	6 672 882
7 1 1 1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 581 381	5 420 944	6 472 882
7 1 1 2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	0	200 000
7 1 6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	5 265	2 885	1 500
7 1 8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	1 051 478	348 018	110 000
7 4	ეკონომიკური საქმიანობა	3 037 668	3 166 201	1 762 500
7 4 2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	12 799	0	17 000
7 4 2 1	სოფლის მეურნეობა	12 799	0	17 000
7 4 5	ტრანსპორტი	2 519 752	2 609 437	1 038 400
7 4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2 519 752	2 609 437	1 038 400
7 4 7	ეკონომიკის სხვა დარგები	505 116	556 764	707 100
7 4 7 3	ტურიზმი	505 116	556 764	707 100
7 5	გარემოს დაცვა	1 798 140	1 862 428	2 057 700
7 5 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	1 798 140	1 862 428	2 057 700
7 6	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	4 663 430	5 007 430	6 410 500
7 6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2 114 951	1 524 675	3 261 900

7	6	3	წყალმომარაგება	1 555 383	1 627 275	1 484 300
7	6	6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	993 096	1 855 480	1 664 300
7	7		ჯანმრთელობის დაცვა	842 586	899 198	1 237 680
7	7	6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	842 586	899 198	1 237 680
7	8		დასვენება, კულტურა და რელიგია	3 620 480	5 177 123	8 161 600
7	8	1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 649 345	1 791 366	949 500
7	8	2	მომსახურება კულტურის სფეროში	1 971 135	3 385 757	7 212 100
7	9		განათლება	4 103 634	4 850 388	5 181 617
7	9	1	სკოლამდელი აღზრდა	2 996 081	3 501 250	3 764 000
7	9	8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	1 107 553	1 349 138	1 417 617
7	10		სოციალური დაცვა	2 571 100	4 272 878	3 310 895
7	10	7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	31 476	31 043	30 000
7	10	9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	2 539 624	4 241 835	3 280 895

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ბიუჯეტის მთლიანი სალდო -599 939 ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 14 400 ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 200 000 ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდიდან თანხებს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ გამოყოფს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

მუხლი 13. პასუხისმგებლობა

2026 წლის განმავლობაში ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლის მიხედვით დამტკიცებული სახსრების განკარგვა განხორციელდეს დამტკიცებული შესყიდვების გეგმისა და მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე, რაზეც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საბიუჯეტო ორგანიზაციასა და დაწესებულებას.

თავი II

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

პრიორიტეტი:

01.მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (პროგრამული კოდი 01 00)

მმართველობით სფეროში განხორციელებული პროექტები, მუნიციპალიტეტის მერიას აძლევს საშუალებას ბიუჯეტისაგან დამოუკიდებლად მოიძიოს ინვესტიციები და გააუმჯობესოს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსებით მონაწილეობას საგრანტო კონკურსებში, რომელსაც განახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის მერია მოქმედი თუ შემოსული არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ საგრანტო კონკურსს, რომელშიც მონაწილეობას დებულობს ადგილობრივი თვითმმართველობა, რაც საშუალებას აძლევს მოიგოს პროექტი და განახორციელოს ქედის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა პროექტი. აღნიშნული მიმართულებები მნიშვნელოვანია თანამედროვე მართვის სისტემის საფუძვლების დანერგვაში, რაც ხელს შეუწყობს პროგრამული ბიუჯეტის სრულყოფას. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა, ქალთა გაძლიერება, ძლიერი მხარეების წახალისება, ადგილზე საკუთარი საქმის წამოწყების შესაძლებლობა, სუსტი მხარეების აღმოფხვრის ხელშეწყობა.

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები
01 02 01	სარეზერვო ფონდი
01 02 03	მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში
01 02 04	სასახლო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა
01 02 04 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ფინანსური უზრუნველყოფა
01 02 05	ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა
01 02 06	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამა
01 02 07	თანასწორობის ხელშეწყობა/ცნობიერების ამაღლების მიზნობრივი პროგრამა

პრიორიტეტი:

02.ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება (პროგრამული კოდი 02 00).

ქედის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. განაშენიანების ახალი პროექტებიდან გამომდინარე, უახლოეს მომდევნო წლებშიც, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავაც პრიორიტეტად რჩება. მუნიციპალიტეტის კომუნალური მეურნეობა წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც ქმნის მოსახლეობისათვის აუცილებელ საცხოვრებელ პირობებს, უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებას, ასევე მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელ, გამართულ ფუნქციონირებას. დასვენებისა და გართობის მიზნით ინფრასტრუქტურის მოწყობა ქალისა და მამაკაცის საჭიროებების გათვალისწინებით, პარკების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ნორმებითა და წესების გათვალისწინებით განხორციელების პირობას შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების განვითარების წინაპირობაა. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, რაც მთლიანობაში უწყობს ხელს კლიმატგამძლე, უსაფრთხო და მდგრადად განვითარებული მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას.

ინფრასტრუქტურული პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გათვალისწინებულია კატასტროფების რისკების შემცირების პრევენციული ღონისძიებები და იქმნება პირობები კლიმატური საფრთხეების მიმართ მდგრადობის გაუმჯობესებისთვის.ეს მოიცავს: წყლის სისტემების გამართვასა და დაცვას, მოდინებული წყლების მართვის გაუმჯობესებას, გზებისა და საჯარო სივრცეების გამძლეობის გაზრდას მეწყრული, წყალდიდობის, ინტენსიური ნალექის და სხვა ბუნებრივი საფრთხეების მიმართ. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფების – ქალების, ბავშვებისა და შშმ პირების – უსაფრთხოებას და საცხოვრებელი გარემოს სტაბილურობას.

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი
02 00	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება
02 02	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები
02 04	მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები
02 05	სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა

02 07	საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა
02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი
02 10	მთა „ტბათში“ ელექტრო-გადამცემი ხაზის მოწყობა

პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01).

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას, დაზიანებული გზებისა და საგზაო ნაგებობების (ხიდეები, მილხიდეები, გზების დამცავი კედლები და გაბიონები და სხვა) რეაბილიტაციას, რაც კატასტროფების რისკების პრევენციის ერთ-ერთ მთავარ საფუძველს წარმოადგენს. დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები მნიშვნელოვნად შეამცირებს ბუნებრივი საფრთხეებით გამოწვეული შესაძლო ზიანის ალბათობას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოდინებული წყლების მართვის გაუმჯობესებას: დაიგეგმება და განხორციელდება კიუვეტების, ცხაურებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა/რეაბილიტაცია, რათა შემცირდეს გზების წყლით დატბორვისა და დაზიანების, მეწყრული პროცესების გააქტიურებისა და ჭარბნალექიანი ამინდების დროს ინფრასტრუქტურის დაზიანების რისკები. პროგრამა ითვალისწინებს ტროტუარების, პანდუსებისა და ბორდიურების მოწყობა/რეაბილიტაციას, რაც უზრუნველყოფს გადაადგილების უსაფრთხოებას და ქალებისა და მამაკაცებისთვის თანაბრად ხელმისაწვდომ მუნიციპალურ ინფრასტრუქტურას. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია საგზაო ნიშნებისა და მონიშვნების, მათ შორის ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღვევადი ელემენტების მოწყობა. აღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს როგორც ზოგად საგზაო უსაფრთხოებას, ისე კატასტროფების რისკების შემცირებას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

პროგრამის მიზანი:

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილებისთვის გარემოს შექმნა.

მოსალოდნელი შედეგი:

მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია საგზაო ინფრასტრუქტურა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების პრევენციის მიზნით მოწყობილია სათანადო ინფრასტრუქტურა, შექმნილია პირობები ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა, შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები :

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება
02 01 01	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია
02 01 02	მთებზე მოიალაღეთა ტრანსპორტირება
02 01 03	ბურღვა აფეთქება
02 01 04	საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა
02 01 05	შ.პ.ს. ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო
02 01 06	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ამბულატორიებში დასაქმებული ექიმების ტრანსპორტით უზრუნველყოფა

ქვეპროგრამა: შ.პ.ს. ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო (პროგრამული კოდი 02 01 05).

- ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდირება გაეწევა შპს ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოს, რომელიც უზრუნველყოფს დაბა ქედაში მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილებას.

ქვეპროგრამის მიზანი:

დაბა ქედაში მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების მიზნით ამბულატორიების ტრანსპორტით უზრუნველყოფა, ქედა-ბათუმის მიმართულებით მგზავრთა დროული და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგი:

უზრუნველყოფილია „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“ გამართული ფუნქციონირება და მოქალაქეთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება.

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება
02 01 05	შ.პ.ს. ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო

პროგრამა: საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02).

მუნიციპალიტეტის განაშენიანების ახალი პროექტებიდან გამომდინარე, უახლოეს მომდევნო წლებშიც, კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება კვლავაც პრიორიტეტად რჩება. მუნიციპალიტეტის კომუნალური მეურნეობა წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც ქმნის მოსახლეობისათვის აუცილებელ საცხოვრებელ პირობებს, უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებას, ასევე მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელ, გამართულ ფუნქციონირებას.

წყალმომარაგების სისტემის მოწყობისა და მოსახლეობისთვის სასმელი წყლის მიწოდების შედეგად გაუმჯობესდება საცხოვრებელი პირობები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალებისათვის. სოფლად მცხოვრები ქალები მეტად არიან ჩართული შინამეურნეობის მართვაში. გამართული წყალმომარაგება ქალებს შეუმსუბუქებს საოჯახო საქმეებს და ნაკლებად მოუწევთ ფიზიკური შრომა (შორი მანძილიდან წყლის მოტანა, ხელით რეცხვა და სხვა), ექნებათ სხვადასხვა საოჯახო ტექნიკის გამოყენების საშუალება, შესაბამისად, დაეზოგებათ დრო და შემცირდება აუნაზღაურებად შრომაში მათ ჩართულობის ხანგრძლივობა.

წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს სკოლებისა და საბავშვო ბაღების სასმელი წყლით მომარაგებას, რაც შექმნის სანიტარულ პირობებს სააღმზრდელო და განათლების დაწესებულებებში როგორც გოგოებისა და ბიჭებისთვის, ასევე პედაგოგებისა და პერსონალისთვის.

პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილია საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოვლა-შენახვა, რაც მნიშვნელოვანია კატასტროფების რისკების პრევენციისთვის, ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის მდგრადობასა და მოსახლეობის უსაფრთხო საცხოვრებელ გარემოს უზრუნველყოფას.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში მდგრადი კომუნალური სისტემის შექმნა და მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგი:

ქედის მუნიციპალიტეტის საზღვრებში რეაბილიტირებული და მოწყობილია წყალმომარაგების სისტემა, უზრუნველყოფილია მოსახლეობის უწყვეტი და მოთხოვნის შესაბამისი წყალმომარაგება, გაუმჯობესებული ეკოლოგიური და საცხოვრებელი გარემო.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება
02 02 01	წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა
02 02 02	შპს ქედის წყალკანალი

ქვეპროგრამა: წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა (პროგრამული კოდი 02 02 01).

ქვეპროგრამა ითვალისწინებს არსებული წყლის სისტემაზე დაზიანებული ქსელის ამოცვლას, სარეზერვო გამანაწილებელი აუზების აშენებას, დამატებით მომხმარებლების მიერთებას და ოჯახებისათვის წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესებას, მილების შექმნას.

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება. წყლის სიტემების ფუნქციონერება და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შედეგი:

განხორციელებულია წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება
02 02 01 01	სოფელ სირაბიძეების წყალმომარაგება
02 02 01 02	პირველი მაისის სოციალური სახლისათვის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა
02 02 01 03	სოფელ ჭინკაძეებში წყალმომარაგების სისტემების მოწყობა

ქვეპროგრამა: შპს ქედის წყალკანალი (პროგრამული კოდი 02 02 02).

- მუნიციპალური მომსახურეობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა.
- ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდირება გაეწევა შპს ქედის წყალკანალს, რომელიც უზრუნველყოფს დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-
- ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის მოვლა-შენახვას, ქლორირებასა და ფილტრაციას და საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოვლა-შენახვას. აღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვანია კატასტროფების რისკების პრევენციისთვის, განსაკუთრებით წყალდიდობების, ნიადაგის ეროზიისა და მეწყერული პროცესების თავიდან აცილების თვალსაზრისით, რაც ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის მდგრადობასა და მოსახლეობის უსაფრთხო საცხოვრებელ გარემოს უზრუნველყოფას.

ქვეპროგრამის მიზანი:

ქედის მუნიციპალიტეტის დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მოვლა-შენახვა, ქლორირება და ფილტრაცია

მოსალოდნელი შედეგი:

უზრუნველყოფილია ქედის მუნიციპალიტეტის დაბისა და სოფლების წყალმომარაგების, საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემების მდგრადი მოვლა და სისტემური გაუმჯობესება, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს წყალმომარაგების ხარისხს და ეფექტურად ამცირებს კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული კატასტროფების რისკებს.

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება
02 02 02	შპს ქედის წყალკანალი

პროგრამა: კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03).

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მოსახლეობის დასვენებისა და გართობის მიზნით ინკლუზიური და ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურის მოწყობა, სკვერების, პარკების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მოწყობა-რეაბილიტაცია, სადაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვების, ქალებისა და კაცების საჭიროებები. ასევე მოეწყობა ფერდსამაგრი კედლები, სანიაღვრე არხები და ნაპირსამაგრები, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკების პრევენციაში და უზრუნველყოფს საცხოვრებელი გარემოს მდგრადობას და უსაფრთხოებას.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება.

მოსალოდნელი შედეგი:

მუნიციპალიტეტში შექმნილია ინკლუზიური და თანაბრად ხელმისაწვდომი კეთილმოწყობილი საზოგადოებრივი სივრცეები და გაუმჯობესებულია მოსახლეობის საცხოვრებელი გარემო.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება
02 03 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი
02 03 02	ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია
02 03 03	პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა

ქვეპროგრამა: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კოდი 02 03 01).

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახურავების რეაბილიტაცია, ფასადების მოწესრიგება, შიდა საერთო მოხმარების წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების შეკეთება, კიბის უჯრედების მოწესრიგება. ასევე ადმინისტრაციული და სხვა შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის მიზანი:

მრავალბინიანი სახლების მობინადრეთათვის უსაფრთხო, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა, ადმინისტრაციული და სხვა შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

მოსალოდნელი შედეგი:

მრავალბინიანი სახლების ინფრასტრუქტურა გაუმჯობესებულია ინკლუზიურობისა და თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებით და უზრუნველყოფილია უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო;

რეაბილიტირებულია ადმინისტრაციული შენობები და შექმნილია პირობები მუნიციპალური სერვისების კომფორტულ გარემოში მისაღებად.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება
02 03 01 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება
02 03 01 02	სოციალური სახლის მშენებლობა
02 03 01 03	ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლებით შეცვლის პროგრამა

ქვეპროგრამა: ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; (პროგრამული კოდი 02 03 02).

გეოლოგიური დასკვნების საფუძველზე ხორციელდება სამუშაოები დაზიანებული გზების, წყლის სისტემების, სანიაღვრე არხების, უმისამართოდ გამდინარე წყლების უსაფრთხო ადგილზე გადაყვანის, მეწყერის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობებისგაბიონების, ფერდსამაგრი და საყრდენი კედლების და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ასევე ახალი ტერიტორიების ათვისება რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება კრიტიკულად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების - მათ შორის გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური და სხვა ბუნებრივი რისკების — მართვისა და შემცირების თვალსაზრისით, ჩატარებული სამუშაოები უზრუნველყოფს კატასტროფების რისკების პრევენციის მექანიზმების გაძლიერებას და მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის ხელშეწყობას.

ქვეპროგრამის მიზანი:

სტიქიისგან მოსახლეობის, მუნიციპალური და კერძო საკუთრების დაცვა და ახალი ტერიტორიების ათვისება.

მოსალოდნელი შედეგი:

კატასტროფების რისკების პრევენციული ღონისძიებები უზრუნველყოფს სტიქიისგან მოსახლეობის, მუნიციპალური და კერძო საკუთრების დაცვას და ახალი ტერიტორიების ათვისებას.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება
02 03 02 01	მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები

ქვეპროგრამა: პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა; (პროგრამული კოდი 02 03 03).

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა, კერძოდ, ნარგავების მოვლა, ნიადაგის მომზადება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მოწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. სკვერებისა და პარკების მოწყობის დროს გათვალისწინებული იქნება ქალთა და ბავშვთა, შშმ პირების, ახალგაზრდების, მოხუცების, კაცების და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საჭიროებები.

ქვეპროგრამის მიზანი :

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება.

მოსალოდნელი შედეგი:

მოწყობილი და გაფართოებულია სარეკრეაციო და ტურისტული ინფრასტრუქტურა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი გარემო დასვენებისა და გართობისთვის, მოვლილია ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები და პარკები.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება
02 03 03 01	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობის, ინფრასტრუქტურის მოწყობის და სხვადასხვა ინვენტარის შექმნა
02 03 03 02	დაბა ქედაში, დ. აღმაშენებლის ქუჩა N2-ში, კედლის მოწყობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები

პროგრამა: მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 02 04).

მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ნორმებითა და წესების გათვალისწინებით განხორციელების პირობას შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთხვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოებაც, რაც გრუნტის სტაბილურობის, ნიადაგის მდგრადობაზე და კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული შესაძლო რისკების მართვაზე უკეთეს ინფორმაციას უზრუნველყოფს. გამომდინარე კლიმატური საფრთხეების ზრდიდან, პროექტების დაგეგმვის ეტაპებზე გათვალისწინებულია კატასტროფების რისკების პრევენცია და ინფრასტრუქტურის კლიმატურად მდგრადი განვითარების პრინციპები. ასევე აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოდნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. დაგეგმილი და შესყიდული მშენებლობის პროექტების სისტემატურ კონტროლს. ფარული სამუშაოების ზუსტად აღრიცხვას და ფორმა N2-ების მიხედვით შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ხარისხისა და ზომების შემოწმებას. პროექტირების ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქალსა და კაცის თანასწორობის პრინციპების ინტეგრირებას, რაც მოიაზრებს: სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებების გათვალისწინებას ინფრასტრუქტურის დიზაინში; ხელმისაწვდომი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას ყველა სქესისთვის; ინკლუზიური გეგმვის პროცესს, სადაც ქალები და მამაკაცები თანაბრად არიან ჩართულნი პროცესებში.

პროგრამის მიზანი:

ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებული საჭირო პროცედურების ჩატარება.

მოსალოდნელი შედეგი:

მომზადებული ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ჩატარებული ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებული საჭირო პროცედურები.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება
02 04 01	ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები
02 04 02	პრიორიტეტული ღონისძიების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა
02 04 03	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა

პროგრამა: სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 05)

მუნიციპალიტეტის მიერ ფერმერებისათვის ხელშეწყობა საერთაშორისო და აგო გაყიდვების გამოფენა-გაყიდვაში, ასევე პირუტყვთა ვაქცინაცია.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის მიერ ფერმერთა ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგი:

ხელშეწყობილი არიან მუნიციპალიტეტში მცხოვრები ფერმერები.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება
02 05 01	აგრო-სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა
02 05 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაცია

პროგრამა: სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 06)

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობის მიერ გამოვლენილი პრიორიტეტების შესაბამისად სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობის პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები, მერის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა ერთობლივად განსაზღვრავენ სოფლის საჭიროებებს, რის საფუძველზეც მზადდება საპროექტო დოკუმენტაცია და ხორციელდება სამუშაოები.

პროგრამის მიზანი:

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიზანია სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურის განვითარება, სოფლებში არსებული პრობლემების დროული და ეფექტიანი გადაწყვეტა, მოსახლეობის მონაწილეობით პრიორიტეტების განსაზღვრა და სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა. პროგრამა ასევე ემსახურება ადგილობრივი თვითმმართველობისა და მოსახლეობის თანამშრომლობის გაძლიერებას და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით სოფლის გარემოს კეთილმოწყობას.

მოსალოდნელი შედეგი:

სოფლებში გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა და საცხოვრებელი გარემო, გაზრდილია მოსახლეობის ხელმისაწვდომობა მუნიციპალურ სერვისებზე, აღმოფხვრილია ან შემცირებულია ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემები, კეთილმოწყობილია საზოგადოებრივი სივრცეები, განვითარებულია საგზაო, წყალმომარაგების, განათებისა და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტები. ასევე, გაზრდილია მოსახლეობის ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და გაუმჯობესებულია სოფლების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

პროგრამა: საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა (პროგრამული კოდი 02 07)

მუნიციპალიტეტის მიერ 2023-2025 წლებში ახლადაშენებული შენობების ელექტრომეურნეობის გამართვისთვის საჭიროა სს ენერგო პრო-ჯორჯიასთან ხელშეკრულების გაფორმება, შესაბამისი ხარჯების გადახდა და მათი გამრიცხველიანება. ასევე, სოფლის საერთო სარგებლობის წისქვილები, რომლებიც აშენებულია ბიუჯეტის ხარჯებით, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საჭიროა ელექტრომეურნეობის ქსელში ჩართვა და სათანადო ფინანსირება. მუნიციპალიტეტის კუთვნილ ზოგიერთ შენობებში დაზიანებულია ელექტრომრიცხველები და საჭიროა ახლით შეცვლა.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობებში, ასევე საერთო სარგებლობის სოფლის წისქვილებში ელექტრომეურნეობის აღდგენა და გამრიცხველიანება, დაზიანებული მრიცხველების და სხვა მოწყობილობების ახლით შეცვლა, ახლად აშენებული ინფრასტრუქტურული ობიექტების ელექტრომომარაგების ქსელში ჩართვა.

მოსალოდნელი შედეგი:

საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობებში აღდგენილია ელექტრო მეურნეობა.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება
02 07	საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა

პროგრამა: შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი (პროგრამული კოდი 02 08)

შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი 2020 წლის 5 მარტს შეიქმნა. ორგანიზაციის დამფუძნებელია ქედის მუნიციპალიტეტის მერია და მის 100% წილს ფლობს. ძირითად საქმიანობებს წარმოადგენს: ა) ტურისტული ობიექტების მოვლა შენახვა; ბ) ტურისტული სერვისების შექმნა და განვითარება; გ) გადასახადების ამოღება; დ) ქედის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის შესწავლა და შესაბამისი სტრატეგიული გეგმის შექმნა; დ) მუნიციპალიტეტში მოქმედ კვების თუ განთავსების ობიექტებზე დახმარება, როგორც ბიზნესის მართვის მხრივ, ასევე რჩევების და რეკომენდაციების მიცემა და მათი გადამზადება; ე) მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პიარი; ვ) ქედის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ბიზნეს სუბიექტების პიარში მხარდაჭერა. ზ) პროექტი „კარვების ქალაქი“ მართვა და განვითარება თ) პროექტი „ციფრული წიგნიერების ცენტრი“-ს- მართვა და განვითარება. ორგანიზაციამ 2020-2025 წელს შეისწავლა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ათეულობით ტურისტული ობიექტი, ასევე ობიექტები, რომელიც სამომავლოდ შესაძლოა გახდეს ახალი ტურისტული ლოკაცია. შესწავლის შემდეგ მოხდა ანალიზი და ჩამოყალიბდა პრიორიტეტული ღონისძიებები, რომელიც გათვალისწინებული იქნება 2026 წლის ტურისტულ ბიუჯეტში. აქედან გამომდინარე, „შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“ ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესს განვითარებაში და მათი საჭიროებისამებრ იმ ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნაში, რომელიც დაეხმარება ბიზნესს.

2026 წელს ორგანიზაცია ბიუჯეტის განაცხადის პროგრამის ფარგლებში გეგმავს ინფო და მედია ტურს, მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციას, რაც თავის მხრივ გულისხმობს საინფორმაციო ტურების მოწყობას ტურისტული კომპანიებისთვის, მედიასა და ბლოგერებისთვის. აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს სოციალურ ქსელში ნახვების გაზრდას და ქედის მუნიციპალიტეტის შესახებ ცნობადობის გაზრდას.

ჩატარდება სახალხო დღესასწაულს შემოდგომა ქედაში, ტურიზმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ტურისტული სეზონის გახსნის ღონისძიება, ორგანიზაცია 2026 წელსაც აგრძელებს პროექტს „ბედნიერი ბილიკები“, წიგნიერების ცენტრში ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებისთვის სასწავლო კურსები, რაც ხელ შეუწყობს აგროტურიზმის განვითარებას,

ფართო აუდიტორიისთვის ქედის ტურისტული ღირსშესანიშნაობების გაცნობას, ადგილობრივი ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციას, ეკოტურიზმისა და საფეხმავლო მარშრუტების პოპულარიზაციას, ქმნის ჯანსაღი დასვენების შესაძლებლობას, იზიდავს ეკოტურისტებს და სხვა. 2026 წელს საშუალოდ 200- ზე მეტი მოლაშქრე ქედის ღირსშესანიშნაობებს და ტურისტულ ობიექტებს ნახავს.

პროგრამის მიზანი:

ქედის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის კვლევა, არსებული ტურისტული ლოკაციების, მოვლა, შენახვა და განვითარება; დონორებთან ურთიერთობა და გრანტების მოძიება;

ქედის მუნიციპალიტეტი გახდება რეგიონის ტურისტული ჰაბი, რაც გააუმჯობესებს მუნიციპალიტეტის ცნობადობას ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ.

მოსალოდნელი შედეგი:

ტურიზმის განვითარებით შეიქმნება ეკონომიკური ღირებულებათა ჯაჭვი, რაც დადებითად აისახება მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ქედის მუნიციპალიტეტი იქცევა რეგიონის ტურისტულ ჰაბად და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ცნობადობა ქვეყნის შიგნითა და მის ფარგლებს გარეთ.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება
02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი

პროგრამა: მთა „ტბათში“ მთის ელექტრო-გადამცემი ხაზის მოწყობა (პროგრამული კოდი 02 09)

მთა „ტბათის“ ტერიტორია, სადაც განთავსებულია სოფელ პირველი მაისის მცხოვრებთა საზაფხულო იალაღები, სადაც საერთოდ არ მიეწოდება ელექტროენერგია და ხდება ახალი ხაზის გაყვანა.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში მეცხოველეობის დარგის განვითარებისა და მემთეურებზე ხელშეწყობის მიზნით საზაფხულო სამოვრებზე, კერძოდ მთა ტბათის ტერიტორიაზე ელექტრო ქსელის მშენებლობა, რომელიც უნდა დასრულდეს 2025-2026 წლებში. პროგრამა არის ორწლიანი და მისი დაფინანსება 2026 წლისათვის შეადგენს 250 000 ლარს.

მოსალოდნელი შედეგი:

მთა „ტბათ“-ის იალაღებზე მემთეურები უზრუნველყოფილი არიან ელექტროენერგიის მომარაგებით.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება
02 09	მთა „ტბათ“-ში ელექტრო-გადამცემი ხაზის მოწყობა

პრიორიტეტი

03. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00).

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები, დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები ასევე სკვერებში ბალახის გათიბვა.

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა
03 01	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში

პროგრამა: სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში (პროგრამული კოდი 03 01).

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების დეზინფექცია, მუნიციპალიტეტის ცალკეული

ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ურნებში და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანას მოემსახურება 2 ნაგავმზიდი. გარე- განათების მოვლა პატრონობა, უპატრონო და მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა, გზის გაწმენდა ჩამოწოლილი მეწყერის მასისაგან, გზის გაწმენდა თოვლის საფარისგან. საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობა. მუნიციპალიტეტში სოფლებისათვის დამატებით კომუნალური მომსახურებისათვის კონტეინერების განთავსება დღემდე მომსახურების გარეშე დარჩენილი უბნებისათვის. რითაც მომსახურების სფეროში მოექცევა მუნიციპალიტეტის მთელი დასახლებული ტერიტორია.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება

მოსალოდნელი შედეგი:

დანერგილია მუნიციპალური ნარჩენების მართვის ეფექტური სისტემა და მუნიციპალიტეტში გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება
03 01 01	შპს ქედის კომუნალურსერვისი

პრიორიტეტი:

04. განათლება (პროგრამული კოდი 04 00).

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად.

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი
04 00	განათლება

04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება
04 02 01	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში

პროგრამა: სკოლამდელი აღზრდა და განათლება (პროგრამული კოდი 04 01).

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის თანახმად ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ქედის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები საბავშვო ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 15 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 490 და მეტი ბავშვი. (მათ შორის გოგო 50.8 %, ბიჭი 49.2%). ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 255 აღმზრდელი (მათ შორის ქალი 88 % და კაცი 12 %), სხვა პერსონალი და ადმინისტრაცია.

<p>ქვეპროგრამა გულისხმობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა საყოფაცხოვრებო მომსახურებების უზრუნველყოფას. კერძოდ, დაბის მთლიან ტერიტორიაზე ხდება ქუჩების დაგვა დასუფთავება, სპეციალურად განთავსებულ ურნებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და შემდეგ გატანა გონიოს ნაგავსაყრელზე სპეციალური ნაგავზიდვებით. ამ სფეროში დასაქმებულია ცხრა თანამშრომელი, გვაქვს სამი ერთეული ნაგავზიდი ავტომობილი. მუნიციპალიტეტის 64 ვე სოფელში და დაბის ტერიტორიაზე განლაგებულია ქუჩების გარე-განათება, ყოველწლიურად ემატება გარეგანათებების რაოდენობა სოფლებში რომლებშიც პერიოდულად საჭიროებენ მოვლაპატრონობას, (დამწვარი ნათურების გამოცვლა, მეწყერების და სხვა რიგი მიზეზებით გამოწვეული დაზიანებული კაბელების და ე.წ. პლაფონების აღდგენა), რის უზრუნველსაყოფად ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გარე განათების არსებული წერტილების ექსპლუატაცია, რეაბილიტირებულ ქუჩებსა და გზებზე, სადღესასწაულო დღეებში დაბაში და თემების ცენტრებში დეკორატიული განათებების მოწყობა. ძირითადად წინასასაბაზო პერიოდში და მათი დემონტაჟი ახალი წლის დღეების შემდეგ. ამ სფეროში დასაქმებულია 16 თანამშრომელი და ორი სპეციალური ამწე-კალათა, რომელთაგან ერთი მათგანი ამორტირებულია და თითქმის აღარ არის ექსპლუატაციაში, ამიტომ ორგანიზაცია აუცილებლად საჭიროებს ერთი ახალი ამწეკალათის დამატებას. ქვეპროგრამის ფარგლებში, ზამთრის პერიოდში ხორციელდება გზების, ქუჩების და სკვერების გაწმენდა თოვლის საფარისაგან. ხორციელდება აგრეთვე დაბასა და თემებში საზოგადოებრივი სარგებლობის საპირფარეშოების პერიოდული დასუფთავებისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, რომლებისთვისაც გამოყოფილია 12 თანამშრომელი, ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მაწანწალა ცხოველების გაუვნებელოფითი ღონისძიებები, რისთვისაც წელიწადში გამოყოფილია 33750 ათას ლარამდე და გამოცხადებული ტენდერის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებულ ფირმასთან ხდება ხელშეკრულების დადება, რითაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი საფრთხის თავიდან აცილება. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება აგრეთვე ადგილობრივი პარკებისა და სკვერების მოვლაპატრონობა, კერძოდ დაბის ტერიტორიაზე არსებობს რამდენიმე პარკი და სკვერი, სადაც წლის განმავლობაში პერიოდულად ხდება ბილიკებსა და გაზონებზე გაზრდილი ბალახების გაგლევა, ხეებისა და დეკორატიული ბუჩქების გასხვლა და სხვა დასხვა დასუფთავებითი სამუშაოების ჩატარება, რომელსაც ემსახურება ხუთი მეზაღე და სამი დარაჯი. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ე.წ. შიდა საუბნო გზების მოვლაპატრონობა მეწყერების გაწმენდითი სამუშაოები და ასევე ზამთარში თოვლისაგან გაწმენდა. მუნიციპალიტეტის საკუთრება მძიმე ტექნიკა კერძოდ თვითმგლელი ავტომანქანა, მრავალფუნქციური ორი ექსკავატორი და ე.წ. ბელარუსის ტიპის დანაინ ტრაქტორი, რაც უზრუნველყოფს სტიქიური მოვლენების შედეგების დროულ აღმოფხვრას და სხვა სამუშაოების ეფექტური შესრულებას.</p>				
დასახელება		პროდუქტი		
		რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
სუმბიდა		1	2 007 700	2 007 700

სხვა ხარჯები		1	50 000	50 000		
ჯამი					2 057 700	
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა						
დასახელება		I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი	
შპს ქედის კომუნალურ სერვისი		X	X	X	X	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი						
უზუნველყოფილია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება						
დასახელება		2025 წელი გეგმა	2026 წელი პროექტი	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი
შპს ქედის კომუნალურ სერვისი		1 862 428	2 057 700	3 011 800	2 921 400	3 111 600
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა		მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები მდგრადი მოხმარება და წარმოება, ეკოსისტემები			მიზანი 12 - მიზანი 15 - დედამიწის	

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2025 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2026 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
უზუნველყოფილია დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება	ტერიტორიის ფართობი, სადაც ხორციელდება დასუფთავების სერვისი	130000	130000	კვ.მ.	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ეკონომიკური განვითარების სამსახური	მონიტორინგი	ქვეყანაში არსებული მდგომარეობა.
	წლის განმავლობაში ნაგასაყრელზე გატანილი ნარჩენების ოდენობა	1750	1750	ტონა/მოცულობა	10%			
	დასუფთავების სერვისში დასაქმებულთა რაოდენობა (ქალი, კაცი)	65 (მ.შ. ქალი 27%, კაცი 73%)	65 (მ.შ. ქალი 27%, კაცი 73%)	რაოდენობა	10%			
	სერვისით მოსარგებლეთა რაოდენობა	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 80% მათ შორის ქალი60%, კაცი40%	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 80% მათ შორის ქალი60%, კაცი40%	რაოდენობა	10%			

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	განათლება				
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 00				
პროგრამის დასახელება:					
პროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერია				
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2026-2029 წწ.				
პროგრამის მიზანი					
სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელშეწყობა; ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაა. იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს მოსწავლის, აბიტურიენტისა და სტუდენტის სწავლის ხარისხი.					
პროგრამის აღწერა					
მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად.					
პროგრამების დასახელება	2025 წელი ფაქტი	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი
სკოლამდელი აღზრდა და განათლება	3 502 573	3 764 000	6 316 360	7 060 810	7 060 810
სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	122 614	104 517	45 000	50 000	55 000
სულ პროგრამის ბიუჯეტი	3 625 187	3 868 517	6 361 360	7 110 810	7 115 810
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი					
მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის თანაბარი ხელმისაწვდომობა, შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო. ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული აბიტურიენტების, სტუდენტებისა და მოსწავლეების წახალისება					
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება (ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის)				

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	განათლება				
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 01				
პროგრამის დასახელება:	სკოლამდელი აღზრდა და განათლება				
პროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერია				
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2026-2029 წწ.				
პროგრამის მიზანი					
სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელშეწყობა; საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის სხვადასხვა დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად.					
პროგრამის აღწერა					
„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის თანახმად ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ქედის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები საბავშვო ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 15 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 490 და მეტი ბავშვი. (მათ შორის გოგო 50.8 %, ბიჭი 49.2%). ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 255 აღმზრდელი (მათ შორის ქალი 88 % და კაცი 12 %), სხვა პერსონალი და ადმინისტრაცია.					
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების პროგრამის მიზანია: ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადგენილი მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისადაა იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან;					
ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ზაზის გაუმჯობესება; ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისადაა იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა; ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ ქედის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების, დაწესებულების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა.					
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებში ადაპტირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ინკლუზიური სწავლების დანერგვა უზრუნველყოფს სკოლამდელი განათლების სერვისის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისთვის. ამასთან ხელს უწყობს 2-დან 6-წლამდე ბავშვიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, რადგან მშობლებს, განსაკუთრებით კი დედებს უთავისუფლდებათ დრო და საშუალება ეძლევათ დასაქმდნენ, რაც მნიშვნელოვანია ოჯახის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ქალთა ეკონომიკური თავისუფლებისთვის.					
ქვეპროგრამების დასახელება	2025 წელი ფაქტი	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი
ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება	3 502 573	3 764 000	4 419 600	4 816 360	5 060 810
საბავშვო ბაღების შენობებისა და ეზოების კეთილმოწყობა, მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია	0	0	1 300 000	1 500 000	2 000 000

ჯამი	3 502 573	3 764 000	5 719 600	6 316 360	7 060 810
-------------	------------------	------------------	------------------	------------------	------------------

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის თანაბარი ხელმისაწვდომობა

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება (ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის)
--	--

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2025 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის თანაბარი ხელმისაწვდომობა	მოქმედი სტანდარტების და ნორმების შესაბამისად მუნიციპალურ საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა	455 მ/შ გოგო 214; ბიჭი 241	470 მ/შ გოგო 212; ბიჭი 258	490 მ/შ გოგო 50,8 %; ბიჭი 49,2%	490 მ/შ გოგო 50,8 %; ბიჭი 49,2%	490 მ/შ გოგო 50,8 %; ბიჭი 49,2%	რაოდენობა	10%	სკოლამდელი აღზრდის ცენტრი	სტატისტიკური	ქვეყანაში არსებული მდგრადობა
	დამატებითი ერთეულების რაოდენობა, სადაც ხელმისაწვდომია სკოლამდელი განათლების სერვისი	15	15	15	15	15	რაოდენობა	10%			

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:		სკოლამდელი აღზრდა და განათლება	
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		04 01 01	
ქვეპროგრამის დასახელება:		ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური, ეკონომიკური განვითარების სამსახური	
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო		2026 წელი	
მუნიციპალური ბიუჯეტი		3 764 000	
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი		3 764 000	
ქვეპროგრამის მიზანი			
საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის სხვადასხვა დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად			
ქვეპროგრამის აღწერა			
<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 15 საბავშვო ბაღი 470 აღსაზრდელით, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)ი.პ. ქედის ბაგა ბაღების გაერთიანება. სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 258 თანამშრომელი, (მათ შორის ქალი 86 % და კაცი 14 %). ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. პროგრამით დაგეგმილია სკოლამდელი განათლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამასთან პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი აღზრდის წარმატებულ პედაგოგთა შრომის სტიმულირება და წახალისება.</p>			
დასახელება		პროდუქტი	
		რაოდენობა	ერთეულის სამუდამო ფასი (ლარი)
		სულ (ლარი)	

შრომის ანაზღაურება	220	13 675	3 008 400		
საქონელი და მომსახურეობა		681 000	681 000		
სოციალური უზრუნველყოფა		7 300	7 300		
სხვა ხარჯები		3 300	3 300		
არაფინანსური აქტივების ზრდა		64 000	64 000		
ჯამი					3 764 000
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა					
დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი	
ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება	X	X	X	X	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი					
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული საადმინისტრაციო გარემო					
დასახელება	2025 წელი ფაქტი	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი
ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება	3 502 573	3 764 000	4 419 600	4 816 360	5 060 810
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება (ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის)				

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2025 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2026 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო	მუნიციპალურ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში აღსაზრდელთა საერთო რაოდენობა	455 მ შ გოგო 214; ბიჭი 241	470 მ შ გოგო 212; ბიჭი 258	რაოდენობა	10%	ა. (ა) ი. კ. ქედის ბავა-ბალების გაერთიანება, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური	სტატისტიკური	ქვეყანაში არსებული მდგომარეობა.
	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რაოდენობა, სადაც უზრუნველყოფილია მუნიციპალური სერვისი	15	15	რაოდენობა	10%			

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	განათლება				
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:					04 02
პროგრამის დასახელება:	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში				
პროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერია				
პროგრამის განხორციელების პერიოდი:					2026-2029 წწ.
პროგრამის მიზანი					
დაბა ქედის საჯარო სკოლაში საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ფართის რემონტი და ინვენტარის შეძენა და განათლებული საზოგადოება ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საყრდენია. ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაა. იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს მოსწავლის, აბიტურიენტისა და სტუდენტის სწავლის ხარისხი, ძალზე მნიშვნელოვანია მათი მოტივირება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წარმოდგენილი განცხადებების მიღება, განხილვა და დაზუსტება. შერჩეულ ბენეფიციარზე წლის განმავლობაში გაიცემა ერთჯერადი დახმარება, რომელსაც ბოლო ორი წელი ნასწავლი აქვს ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში.					
პროგრამის აღწერა					
საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივის - საჯარო სკოლებში პროფესიული სწავლების დანერგვისათვის ხელშეწყობა, განათლებული საზოგადოება ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საყრდენია. ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაა. იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს მოსწავლის, აბიტურიენტისა და სტუდენტის სწავლის ხარისხი, ძალზე მნიშვნელოვანია მათი მოტივირება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წარმოდგენილი განცხადებების მიღება, განხილვა და დაზუსტება. შერჩეულ ბენეფიციარზე წლის განმავლობაში გაიცემა ერთჯერადი დახმარება, რომელსაც ბოლო ორი წელი ნასწავლი აქვს ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში.					
ქვეპროგრამების დასახელება	2025 წელი ფაქტი	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი
ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ აბიტურიენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანობის კანდიდატ მოსწავლეთა და სტუდენტთა დახმარება	87 700	70 000	45 000	50 000	55 000
სსიპ ვახტანგ პაპუნის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის საკლასო ოთახის რემონტი და ინვენტარის შეძენა	34 914	34 517	0	0	0
ჯამი	122 614	104 517	45 000	50 000	55 000

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	
უზრუნველყოფილია ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული აბიტურიენტების, სტუდენტებისა და მოსწავლეების მოტივაციის ამაღლება და სწავლის მიმართ ინტერესის გაზრდა.	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება (ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის)

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2025 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	ზომის ერთეული	ცდომილებების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
უზრუნველყოფილია ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული აბიტურიენტების, სტუდენტებისა და მოსწავლეების მოტივაციის ამაღლება და სწავლის მიმართ ინტერესის გაზრდა.	ბენეფიციართა რაოდენობა	98 (მათ შორის: ქალი 71 და კაცი 27)	100 (მათ შორის: გოგო 50 და ბიჭი 50)	100 (მათ შორის: გოგო 50 და ბიჭი 50)	100 (მათ შორის: გოგო 50 და ბიჭი 50)	100 (მათ შორის: გოგო 50 და ბიჭი 50)	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური	ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	04 02 01	
ქვეპროგრამის დასახელება:	ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ აბიტურიენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანობის კანდიდატ მოსწავლეთა და სტუდენტთა დახმარება	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერია, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2026 წელი	
მუნიციპალური ბიუჯეტი	70 000	
სახელმწიფო ბიუჯეტი	0	
სხვა წყარო		
მათ შორის კაპიტალური პროექტები		
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	70 000	
ქვეპროგრამის მიზანი		
მოსწავლეების, აბიტურიენტებისა და სტუდენტების წახალისება, განათლების ხელშეწყობა, სწავლით დაინტერესება, მოტივაციის ამაღლება		
ქვეპროგრამის აღწერა		
<p>განათლებული საზოგადოება მლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საყრდენია. ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაა. იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს მოსწავლის, აბიტურიენტისა და სტუდენტის სწავლის ხარისხი, ძალზე მნიშვნელოვანია მათი მოტივირება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წარმოდგენილი განცხადებების მიღება, განხილვა და დაზუსტება. შერჩეულ ბენეფიციარზე წლის განმავლობაში გაიცემა ერთჯერადი დახმარება, რომელსაც ბოლო ორი წელი ნასწავლი აქვს ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში, და რეგისტრირებულია ქედის მუნიციპალიტეტში</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:</p> <p>იმ აბიტურიენტთა დახმარება, რომლებიც ბოლო ორი წელი სწავლობდნენ ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მოიპოვებენ სახელმწიფო (50 %, 70%, 100 %) გრანტს და ჩაირიცხებიან საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე.</p> <p>შენიშვნა: ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაიცემა შემდეგნაირად - აბიტურიენტი, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებში მოიპოვებს 100 % გრანტს, ერთჯერადად ჩაერიცხება 1500 ლარი, 70% -ის შემთხვევაში 1000 ლარი, ხოლო 50% - 800 ლარი.</p> <p>მოსწავლეს, რომელსაც მიენიჭება ოქროს მედალოსნის სტატუსი ან იქნება ოქროს მედალოსნობის კანდიდატი, წლის განმავლობაში ერთხელ ჩაერიცხება 800 ლარი, ხოლო ვერცხლის მედალოსანს - 600 ლარი.</p> <p>შენიშვნა: პროგრამის ფარგლებში თანხა გაიცემა წლის განმავლობაში ერთხელ.</p> <p>სტუდენტს, რომელიც სწავლობს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და აქვს მაღალი აკადემიური მოსწრება (91- დან 100 ქულის ჩათვლით), წლის განმავლობაში ორჯერ (პირველი და მეორე სემესტრი), წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად ჩაერიცხება 500 ლარი</p>		
პროდუქტი		

დასახელება		რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)	
ქედის მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების კურსამთავრებულთა ერთჯერადი დახმარება, რომლებმაც ერთიან ეროვნულ გამოცდებში მოიპოვეს გრანტი (100 % - 1500 ლარი, 70 % - 1000 ლარი, 50% - 800 ლარი).		70 000			
ქედის მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების კურსამთავრებულ ოქროსა და ვერცხლის მედალოსნობის კანდიდატ მოსწავლეთა ერთჯერადი დახმარება (ოქროს მედალოსანი - 800 ლარი; ვერცხლის მედალოსანი - 600 ლარი)					
მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა დახმარება (ერთ სტუდენტზე სემესტრში 500 ლარი)					
ჯამი		70 000			
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა					
დასახელება		I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ აბიტურიენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანობის კანდიდატ მოსწავლეთა და სტუდენტთა დახმარება		X	X	X	X
მოსალოდნელი შუალედური შედეგი					
ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული აბიტურიენტების, სტუდენტებისა და მოსწავლეების წახალისება					
დასახელება	2025 წელი ფაქტი	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი
ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ აბიტურიენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანობის კანდიდატ მოსწავლეთა და სტუდენტთა დახმარება	87 700	70 000	45 000	50 000	55 000
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება (ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის)				

დამატებითი ინფორმაცია

განცხადებების წარმოდგენის ვადები სტუდენტებისათვის: 2026 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების გამოცხადებიდან 15 ნოემბრამდე;

საჭირო დოკუმენტაცია:

- ა) განცხადება მერის სახელზე;
- ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ID ბარათი ან პასპორტი);
- გ) შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დამადასტურებელი დოკუმენტი გრანტის შესახებ;
- დ) ცნობა სკოლიდან, რომლითაც დასტურდება, რომ სტუდენტი ბოლო ორი წელი სწავლობდა ქედის მუნიციპალიტეტში არსებულ საჯარო სკოლაში;
- ე) სტუდენტის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები ან ერთ-ერთი მშობლის/ მინდობილი პირის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები. (იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი იქნება მშობლის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, სავალდებულოა პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და მინდობილობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა, ხოლო მინდობილი პირის შემთხვევაში სავალდებულოა წარმოადგინოს მინდობილობის დამადასტურებელი დოკუმენტი).

განცხადებების წარმოდგენის ვადები მოსწავლეებისათვის: 2025-2026 სასწავლო წლის დასრულებიდან 15 ნოემბრამდე

საჭირო დოკუმენტაცია:

- ა) განცხადება მერის სახელზე;
- ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ID ბარათი ან პასპორტი და დაბადების მოწმობა);
- გ) დამადასტურებელი დოკუმენტი მაღალი აკადემიური მოსწრების შესახებ (ცნობა მედალოსნის ან მედალოსნობის კანდიდატის შესახებ);
- დ) ცნობა სკოლიდან, რომლითაც დასტურდება, რომ მოსწავლე ბოლო ორი წელი სწავლობდა ქედის მუნიციპალიტეტში არსებულ საჯარო სკოლაში;
- ე) მოსწავლის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები ან ერთ-ერთი მშობლის ან/და მინდობილი პირის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, (იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი იქნება მშობლის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, სავალდებულოა პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და მოსწავლის დაბადების მოწმობის ასლის წარმოდგენა, ხოლო მინდობილი პირის შემთხვევაში სავალდებულოა წარმოადგინოს მინდობილობის დამადასტურებელი დოკუმენტი).

განცხადების წარმოდგენის ვადები მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის (ბაკალავრი, მაგისტრი) :

2025-2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრის შედეგის მონაცემები უნდა წარმოადგინოს ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში არაუგვიანეს 15 აპრილისა, ხოლო მეორე სემესტრის - 01 ოქტომბრამდე.

საჭირო დოკუმენტაცია:

- ა) განცხადება მერის სახელზე;
- ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- გ) სასწავლებლის ცნობა მაღალი აკადემიური მოსწრების შესახებ;
- დ) საინფორმაციო ბარათი იუსტიციის სახლიდან (სტუდენტი უნდა იყოს რეგისტრირებული ქედის მუნიციპალიტეტში);
- ე) სტუდენტის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტი ბეჭდით დამოწმებული;
- ვ) ცნობა სკოლიდან, რომლითაც დასტურდება, რომ მოსწავლე ბოლო ორი წელი სწავლობდა ქედის მუნიციპალიტეტში არსებულ საჯარო სკოლაში;

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2025 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2026 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული წარმატებული აბიტურიენტების, სტუდენტებისა და მოსწავლეების წახალისება	ბენეფიციართა რაოდენობა	98 (მათ შორის: ქალი 71 და კაცი 27)	100 (მათ შორის: გოგო 50 და ბიჭი 50)	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერის განხორციელების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმიანობის განყოფილება და მუშაობის სამსახური	წარმოდგენილი წლიური ანგარიში	ქვეყანაში არსებული მდგომარეობა.

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:		განათლება			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		04 02 02			
ქვეპროგრამის დასახელება:		სსიპ-ვახტანგ პაპუნძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის საკლასო ოთახის რემონტი და ინვენტარის შეძენა			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		ქედის მუნიციპალიტეტის მერია, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური, ეკონომიკური განვითარების სამსახური			
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო		2026-2029 წელი			
სახელმწიფო ბიუჯეტი		34 517			
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი		34 517			
ქვეპროგრამის მიზანი					
დაბა ქედის საჯარო სკოლაში საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი ფართის რემონტი და ინვენტარის შეძენა					
ქვეპროგრამის აღწერა					
საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივის - საჯარო სკოლებში პროფესიული სწავლების დანერგვისთვის ხელშეწყობა					
დასახელება		პროდუქტი			
		რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)	
საქონელი და მომსახურება		1	150	150	
არაფინანსური აქტივები		1	34 367	34 367	
ჯამი				34 517	
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა					
დასახელება		I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი

სსიპ-ვახტანგ პაპუნძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის საკლასო ოთახის რემონტი და ინვენტარის შეძენა		X	X	X	X			
მოსალოდნელი შუალედური შედეგი								
შესაბამისი ფართისა და ინვენტარის შეძენით შეიქმნება პირობები ერთი სასწავლო ჯგუფისათვის პროფესიული განათლების მისაღებად								
დასახელება		2025 წელი ფაქტი	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი		
სსიპ-ვახტანგ პაპუნძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის საკლასო ოთახის რემონტი და ინვენტარის შეძენა		34 914	34 517	0	0	0		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა		მიზანი 5 - თანასწორობა; მიზანი 9 - ინფრასტრუქტურა; მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები						
შუალედური შედეგი		შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი						
2025 წლის 15 სექტემბრამდე პერიოდისათვის აღნიშნულ სკოლაში მოწყობილი იქნება შესაბამისი ფართი და შეძენილი იქნება ინვენტარი	ინდიკატორის დასახელება	2025 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2026 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
	მოსწავლეთა საჯარო განათლების პარალელურად პროფესიის დაუფლება	20 მოსწავლე	20 მოსწავლე	რაოდენობა	10%	სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური, ეკონომიკური განვითარების სამსახური	ყოველ კვარტალურად წარმოდგენილი ანგარიში	5% - კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა, გარემო პირობების ფაქტორი

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 00
პროგრამის დასახელება:	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი
პროგრამის განმახორციელებელი:	ქედის მუნიციპალიტეტის მერია
პროგრამის განხორციელების პერიოდი:	2026-2029 წწ.

პროგრამის მიზანი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარება. კულტურული ტრადიციების დაცვა და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელება. ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

პროგრამის აღწერა

სპორტის, ახალგაზრდობის და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგებს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმის, მეწარმეობის განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარებას. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში პროგრამები ხორციელდება როგორც მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური, ასევე კულტურის და სპორტის სფეროში შექმნილი ა(ა)იპ-ების და შ.პ.ს-ების მიერ.

ქვეპროგრამების დასახელება	2025 წელი ფაქტი	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი
სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2 633 815	1 844 600	2 402 700	2 708 300	2 007 200
კულტურის განვითარების ხელშეწყობა	3 769 831	7 630 100	3 705 900	4 023 010	4 411 211
სულ პროგრამის ბიუჯეტი	6 403 647	9 474 700	6 108 600	6 731 310	6 418 411

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის და კულტურის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა, გამოვლენილია განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები და წახალისებულია სპორტული მიღწევები

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა

მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის
მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა
მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

პროორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:		კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		05 01
პროგრამის დასახელება:		სპორტის განვითარების ხელშეწყობა
პროგრამის განმახორციელებელი:		ქედის მუნიციპალიტეტის მერია
პროგრამის განხორციელების პერიოდი:		2026-2029 წწ.

პროგრამის მიზანი

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში. გამოვლენილი ახალგაზრდები, რომელთაც აღმოაჩნდათ განსაკუთრებული ნიჭი და შესაძლებლობები. პერსპექტიული მოსწავლე სპორტსმენების შერჩევა, სასპორტო სკოლის და მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდების დაკომპლექტება და სპორტსმენთა მიერ მაღალი სპორტული შედეგების მიღწევა. პროგრამა ხელს უწყობს სპორტულ აქტივობებში ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული ღონისძიებების განხორციელებას და სპორტული წრეების საქმიანობაში გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას. ქვეპროგრამების ფარგლებში სერვისები შეთავაზებულია ის, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.

პროგრამის აღწერა

ქედის მუნიციპალიტეტში ბავშვთა და მოზართთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. სასპორტო სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება.

სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით; ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, ქედის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარევე სპორტსმენებისა და მწრთველების წახალისება ფულადი ჯილდოთი; ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში ქედის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარევე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით;

სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწრთველების ტრანსპორტირებაში დახმარება; საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის და სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები. რეგიონალური სპორტული შეჯიბრება. ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული სპორტულ აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, სპორტული წრეების საქმიანობაში გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინება. ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.

ქვეპროგრამების დასახელება	2025 წელი ფაქტი	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი
ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა	842 449	895 100	1 107 600	1 279 300	1 367 100
სპორტული ღონისძიების მხარდაჭერა	253 151	260 000	300 000	300 000	300 000
სპორტული კლუბების განვითარების მხარდაჭერა	790 094	689 500	995 100	1 129 000	340 100
სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	748 121	0	0	0	0
ჯამი	2 633 815	1 844 600	2 402 700	2 708 300	2 007 200

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	
ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპების დაცვით უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა, გამოვლენილია განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები და წახალისებულია სპორტული მიღწევები	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2025 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2026 წელი	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი	ზომის ერთეული	ცდომილება ს ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, ქალისა და მამაკაცის თანასწორობის პრინციპების დაცვით უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა და წახალისებულია სპორტული მიღწევები	მუნიციპალურ სპორტულ კლუბებში, ძირითადად გუნდებში ადგილობრივი სპორტსმენების რაოდენობა	20	25	30	35	35	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური	შქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური	პანდემია
	გასვლითი სპორტული ღონისძიებებში ჩართულ პირთა რაოდენობა	370	390	410	420	420	რაოდენობა	5%			სხვა გაუფასავალი მონაცემები
	მუნიციპალურ სპორტულ ღონისძიებებში ჩართულ პირთა რაოდენობა	410	450	500	550	600	რაოდენობა	5%			ფორმალური მდგომარეობა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:	სპორტის განვითარების ხელშეწყობა
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	05 01 01
ქვეპროგრამის დასახელება:	ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:	ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო	2026-2029 წწ.
მუნიციპალური ბიუჯეტი	895 100
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი	895 100
ქვეპროგრამის მიზანი	
სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა და ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სპორტულ სკოლებსა და სექციებში გაერთიანებული ბავშვთა და მოზარდთა სპორტსმენების ხელშეწყობა. მოყვარული და პროფესიონალი სპორტსმენების მონაწილეობის ხელშეწყობა სხვადასხვა რანგის გასვლით სპორტულ ტურნირებსა და შეჯიბრებებში	
ქვეპროგრამის აღწერა	
<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სასპორტო სკოლის მიმდინარე ხარჯებისა და სხვადასხვა სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფის დაფინანსება, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. ბავშვთა და მოზარდთა ჩაბმა სისტემატიურ სპორტულ გამაჯანსაღებელ საქმიანობაში. მათი ფიზიკური აღზრდა და სპორტული დაოსტატება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში. მასობრივი სპორტის განვითარება, სპორტსმენების აღზრდა სხვადასხვა სპორტის სახეობებში, სადაც ისინი ავლენენ სხვადასხვა სპორტული წრისთვის საჭირო ნიჭსა თუ უნარ-ჩვევებს. სპორტსმენების გააქტიურება და აქტივობებში ჩართვა, ვარჯიში სპორტულ საწვრთო შეკრებებზე, სპორტსმენების ასპარეზო სხვადასხვა რესპუბლიკურ და საერთაშორისო შეჯიბრებებზე. მწვრთნელების და სპორტსმენების ინიციატივების განხორციელება და წახალისება, სპორტსმენების პროფესიული დაოსტატება და წინსვლა.</p> <p>სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა და ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სპორტულ სკოლებსა და სექციებში გაერთიანებული ახალგაზრდა სპორტსმენების ხელშეწყობა. მოყვარული და პროფესიონალი სპორტსმენების მონაწილეობის ხელშეწყობა სხვადასხვა რანგის გასვლით სპორტულ ტურნირებსა და შეჯიბრებებში. (ა)იპ ქედის სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 9 (ცხრა) სექცია, მათ შორის 18(თვრამეტი) ჯგუფი: ფრენბურთის 1 (ერთი) ჯგუფი; თავ. ჭიდაობის 4(ოთხი) ჯგუფი; ქართ. ჭიდაობა 2(ორი); კალათბურთის 3(სამი) ჯგუფი; ჭადრაკის 2(ორი) ჯგუფი; მაგიდის ჩოგბურთის 2(ორი) ჯგუფი; კიკბოქსინგის 2(ორი) ჯგუფი; კლასიკური ჭიდაობა 1(ერთი) ჯგუფი;ქვიშის ჭიდაობა 1(ერთი). ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლაში სწავლება უფასოა და 300-მდე ბავშვია (მათ შორის გოგონა35%, ბიჭი 65%) სხვადასხვა სპორტულ სახეობებში ჩაბმული. სასპორტო სკოლას ჰყავს სერტიფიცირებული და ლიცენზირებული მწვრთნელები, რაც ხელს უწყობს ბავშვების დაოსტატებას პროფესიულ დონეზე, რათა უფრო ბევრი წარმატებული სპორტსმენი ჰყავდეს (ევროპისა და მსოფლიო პრიზიორი, ადგილობრივი, საერთაშორისო, საქართველოს ჩემპიონი, ევროპის მონაწილე საქართველოს ნაკრების წევრი, აჭარის ნაკრების წევრი).</p> <ul style="list-style-type: none"> • ფრენბურთი - ავთანდილ ბერიძის ტურნირი; • თავ. ჭიდაობა - გურამ ჯიჯავაძის ტურნირი; • გოგონათა სპორტული ფესტივალი და სხვადასხვა ღონისძიებები; • სასკოლო სპორტული ოლიმპიადა. 	

დასახელება	პროდუქტი		
	რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
შრომის ანაზღაურება	31	16 216	502 700
საქონელი და მომსახურეობა	1	352 100	352 100
სხვა ხარჯები	1	31 800	31 800
არაფინანსური აქტივების ზრდა	1	8 500	8 500
ჯამი			895 100

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა	X	X	X	X

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

უზრუნველყოფილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩატარება, შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი პირობები გოგონებისა და ბიჭებისთვის სპორტულ სკოლის ბაზაზე არსებული სხვადასხვა სპორტული სექციების სარგებლობისა და საერთაშორისო ტურნირებსა და ჩემპიონატებში მონაწილეობისთვის.

ქვეპროგრამების დასახელება	2025 წელი ფაქტი	2026 წელი გეგმა	2027 წელი	2028 წელი	2029 წელი
ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა	842 449	895 100	1 107 600	1 279 300	1 367 100

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა
---	--

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი
------------------	--

	ინდიკატორის დასახელება	2025 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2026 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
<p>უზრუნველყოფილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩატარება, შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი პირობები გოგონებისა და ბიჭებისთვის სპორტულ სკოლის ბაზაზე არსებული სხვადასხვა სპორტული სექციების სარგებლობისა და საერთაშორისო ტურნირებსა და ჩემპიონატებში მონაწილეობისთვის</p>	სპორტულ ღონისძიებაში მონაწილე სკოლის მოსწავლეები (გოგონები ვაჟები 18-წლამდე)	300 (მათ შორის გოგონები 40%, ვაჟები 60%)	350 (მათ შორის გოგონები 45%, ვაჟები 55%)	რაოდენობა	10%	ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური	ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა, მეტეოროლოგიური პრობლემები.
	ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა	29	35	რაოდენობა	10%	ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური	ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა, მეტეოროლოგიური პრობლემები.
	დაჯილდოებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების რაოდენობა	სპორტსმენი (მათ შორის ქალი 15%); მწვრთნელი (მათ შორის, ქალი 15%)	სპორტსმენი (მათ შორის ქალი 15%); მწვრთნელი (მათ შორის, ქალი 15%)	რაოდენობა	10%	ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური	სტატისტიკური	ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა, მეტეოროლოგიური პრობლემები.
	სპორტულ ღონისძიებაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა	400 (ქალი 45, კაცი 55%)	450 (ქალი 50%, კაცი 50%)	რაოდენობა	10%	ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური	სტატისტიკური	ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა, მეტეოროლოგიური პრობლემები.
	სპორტულ ღონისძიებაში მონაწილე სკოლის მოსწავლეები (გოგონები ვაჟები 18-წლამდე)	300 (მათ შორის გოგონები 40%, ვაჟები 60%)	350 (მათ შორის გოგონები 45%, ვაჟები 55%)	რაოდენობა	10%	ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა, განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური	ქვეყანაში არსებული საგანგებო მდგომარეობა, მეტეოროლოგიური პრობლემები.

ქვეპროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:		სპორტის განვითარების ხელშეწყობა		
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		05 01 02		
ქვეპროგრამის დასახელება:		სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძველთა დაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო			2026-2029 წწ.	
მუნიციპალური ბიუჯეტი			260 000	
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			260 000	
ქვეპროგრამის მიზანი				
ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, სპორტის ცალკეული სახეობების პოპულარიზაცია და სპორტულ ღონისძიებებში ადგილობრივი სპორტსმენების დაოსტატობის დონის ამაღლება. მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში და მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში.				
ქვეპროგრამის აღწერა				
სპორტული ღონისძიებების დაფინანსების მთავარ მიმართულებას წარმოადგენს სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების კოორდინაცია. პროგრამა ემსახურება სპორტული ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებას, სპორტის სხვადასხვა სახეობის პოპულარიზაციას, სპორტსმენთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობას, მონაწილეობას, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ დაგეგმილ ტურნირებში. ადგილობრივ სპორტსმენთა ჩართულობის ზრდას, პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენას, გამარჯვებულ სპორტსმენთა დაჯილდოვებას. ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში. ქედის სპორტსმენების/მწვრთნელების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა-წახალისება. შექმნილია თანაბარი პირობები გოგონებისა და ბიჭებისათვის.				
დასახელება		პროდუქტი		
		რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
ადგილობრივი, საერთაშორისო და რესპუბლიკურ ღონისძიებებში(ტურნირებში) მუნიციპალიტეტის სახელით მონაწილე გუნდების მხარდაჭერა (შემოსული წერილის საფუძველზე, ისეთი ღონისძიებები რომლებიც პროგრამაში გათვალისწინებული არ არის და ღონისძიებაში მონაწილეობა მუნიციპალიტეტის სახელით მნიშვნელოვანია)		1	3 925	3 925

<p>2025 წელს წარმატებული სპორტსმენთა, მწვრთნელთა და მუნიციპალიტეტის სახელით მონაწილე გუნდების წახალისების ფონდი (2025 წლის -განმავლობაში სპორტსმენებმა და მუნიციპალიტეტის სახელით მონაწილე გუნდებმა რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივ, რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ღონისძიებებში და აჩვენეს საუკეთესო შედეგები, მიზანშეწონილია შემდგომი სტიმულირების მიზნით სპორტსმენების, გუნდების და მწვრთნელების წახალისება ფულადი ჯილდოთი, -მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებულებს რომლებიც დაიკავებენ საპრიზო ადგილებს (I, II, III) დაენიშნებათ ხელფასი ერთი წლით)</p>	1	81 500	81 500
<p>2026 წელს წარმატებული სპორტსმენთა, მწვრთნელთა და მუნიციპალიტეტის სახელით მონაწილე გუნდების წახალისების ფონდი (2026 წლის -განმავლობაში სპორტსმენებმა და მუნიციპალიტეტის სახელით მონაწილე გუნდებმა რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივ, რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო და სხვა ღონისძიებებში, აჩვენეს საუკეთესო შედეგები, მიზანშეწონილია შემდგომი სტიმულირების მიზნით სპორტსმენების, გუნდების და მათი მწვრთნელების წახალისება ფულადი ჯილდოთი, -მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებულებს რომლებიც დაიკავებენ საპრიზო ადგილებს (I, II, III) დაენიშნებათ ხელფასი ერთი წლით)</p>	1	48 500	48 500
<p>ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის გუნდების მონაწილეობა „სასკოლო სპორტულ ოლიმპიადა 2025-2026-ში“ (მუნიციპალური, რეგიონალური და ზონალურ ტურნირებში) „სასკოლო სპორტულ ოლიმპიადა 2025-2026“-ში მონაწილეობას ღებულობენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გუნდები (დებულების მიხედვით შესაბამის წლებში დაბადებული მოსწავლეები) პირველ ეტაპზე ჩატარდება მუნიციპალური თამაშები, ხოლო მუნიციპალიტეტში გამარჯვებული გუნდი (შესაბამის სახეობაში გამარჯვებული გუნდი) მონაწილეობას მიიღებს რეგიონალურ(შემდეგი ეტაპის გამარჯვების შემთხვევაში)ზონალურ და დასკვნით ფინალურ თამაშში. გამარჯვებული გუნდები უზრუნველყოფილი იქნებიან მასიურით, კვებით და სატრანსპორტო მომსახურებით.</p>	1	5 375	5 375
<p>„ახალგაზრდული ფესტივალი 2026 სპორტო ბარიერების გარეშე (მუნიციპალური ჩემპიონატის და რეგიონალურ ტურნირში მონაწილეობა) „ახალგაზრდული ფესტივალი 2025“-ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეჯიბრის ჩატარებას და გამარჯვებული გუნდის მონაწილეობა ქ. ბათუმში რეგიონალურ თამაშზე, გამარჯვებული გუნდები უზრუნველყოფილი იქნება კვებით და სატრანსპორტო მომსახურებით</p>	1	1 700	1 700
<p>გიორგი ხინჩეგაშვილი ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლი თავისუფალი ჭიდაობის გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კვების, ღამისთევის და სატრანსპორტო მომსახურება.</p>	1	3 800	3 800
<p>კობა კაკალაძის სახელობის ტურნირი თავისუფალი ჭიდაობაში. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლი თავისუფალი ჭიდაობის გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კვების და სატრანსპორტო მომსახურება.</p>	1	1 500	1 500
<p>საქართველოს პირველობა თავისუფალი ჭიდაობაში(ჭაბუკები). ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლი თავისუფალი ჭიდაობის გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კვების, ღამისთევის და სატრანსპორტო მომსახურება</p>	1	3 800	3 800
<p>საქართველოს პირველობა თავისუფალი ჭიდაობაში(U 15 წლამდე ჭაბუკები). ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლი თავისუფალი ჭიდაობის გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კვების, ღამისთევის და სატრანსპორტო მომსახურება</p>	1	3 800	3 800
<p>ლევან ებანოიძის რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლი თავისუფალი ჭიდაობის გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კვების, ღამისთევის და სატრანსპორტო მომსახურება (ზაღდათი)</p>	1	3 700	3 700

<p>აჭარის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლი მაგიდის ჩოგბურთის გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კვების და სატრანსპორტო მომსახურება.</p>	1	1 200	1 200
<p>ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლის მაგიდის ჩოგბურთის გუნდის ამხანაგური შეხვედრა ქ. ბათუმის სასპორტო სკოლის გუნდთან ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლი მაგიდის ჩოგბურთის გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კვების და სატრანსპორტო მომსახურება.</p>	1	800	800
<p>თორნიკე ლოლობერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლი მაგიდის ჩოგბურთის გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კვების და სატრანსპორტო მომსახურება.</p>	1	3 800	3 800
<p>ამბროლაურის ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლი მაგიდის ჩოგბურთის გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კვების და სატრანსპორტო მომსახურება.</p>	1	3 500	3 500
<p>ქვემო ქართლის ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლი მაგიდის ჩოგბურთის გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კვების და სატრანსპორტო მომსახურება.</p>	1	4 200	4 200
<p>კარლო გუგუშვილის სახელობის ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლი მაგიდის ჩოგბურთის გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კვების და სატრანსპორტო მომსახურება.</p>	1	1 300	1 300
<p>ჯემალ მელაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლი მაგიდის ჩოგბურთის გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კვების და სატრანსპორტო მომსახურება.</p>	1	3 500	3 500
<p>იმერეთის ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ა.(ა).ი.პ ქედის სასპორტო სკოლი მაგიდის ჩოგბურთის გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კვება, ღამისთევა და სატრანსპორტო მომსახურება.</p>	1	3 000	3 000
<p>აჭარის ა/რ პირველობა მინი ფეხბურთში ქალაქისა და მუნიციპალიტეტის გუნდებს შორის ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ქედის მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდი, ქვეპროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება კვების და სატრანსპორტო მომსახურება.</p>	1	4 000	4 000
<p>აჭარის ა/რ პირველობა მინი ფეხბურთში სამინისტროებისა და მუნიციპალიტეტების გუნდებს შორის ღონისძიებების ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის გუნდის კვების და სატრანსპორტო მომსახურება</p>	1	4 000	4 000
<p>ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახებზე მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან ხორციელდებოდა დროებითი საცხოვრებლის ბინის ქირის უზრუნველსაყოფად მატერიალური დახმარება. ვინაიდან, საგრძნობლად იზრდება ასეთი ოჯახების რაოდენობა, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი არასაკმარისი გახდა დაზარალებულ ოჯახებზე ბინის ქირის თანხით უზრუნველყოფა, რის გამოც საჭირო გახდა მიზნობრივი პროგრამის შემუშავება. აღნიშნული პროგრამით ისარგებლებს:</p> <p>1) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახი, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში გააჩნია ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სტიქიური პროცესის ზონაში მოხვედრილი საცხოვრებელი სახლი, რომლის ნაწილი ან მთლიანად დაზარალებულია ნებისმიერი სტიქიური მოვლენით (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზავი, ქვათაცვენა, მდინარის, წყლის მოქმედების შედეგად ნაპირების გარეცხვა, ჯდენადი გრუნტი, თოვლ/ზვავი და სხვა) და შესაბამისი კომპეტენტური უწყებიდან გაცემული გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება ადგილმონაცვლეობას.</p> <p>2) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახი, რომლის ფლობელობაში/საკუთრებაში არსებული სახლი იმყოფება სტიქიური მოვლენების ზონაში და გეოლოგიური თვალსაზრისით საცხოვრებელი სახლების შედგომი ექსპლუატაციის მიზნით, სხვადასხვა სახის პრევენციული ღონისძიებების განხორციელებამდე შესაბამისი კომპეტენტური უწყებიდან წარმოდგენილი გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება დროებით გაყვანას უსაფრთხო ადგილას.</p> <p>3) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახი, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლი დაიწვა მთლიანად ან/და ნაწილობრივ სხვადასხვა მიზეზით და მასში ცხოვრება შეუძლებელია.</p> <p>4) დაუშვებელია ერთზე მეტი თვის შესაბამისი თანხის ერთდროულად გაცემა.</p> <p>5) დაუშვებელია ამორტიზირებულ ფართში მცხოვრები ოჯახების დაყოფა და ცალკე-ცალკე ფართის დაქირავება კომპენსაციის დადგენილზე მეტი ოდენობის მიღების მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა თუ ოჯახი დაყოფილი იყო დაზარალებამდე, ეწეოდა ცალკე-ცალკე მეურნეობას და არიან ენერგომომხმარებლის დამოუკიდებელი აბონენტები, რაც დადასტურდება მოხსენებითი ბარათით შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის მიერ, იმ შემთხვევაში თუ დაზარალებულ სახლში ცხოვრობს ოჯახი, რომელიც 10 ან მეტი წევრისგან შედგება (საფუძველი: სოციალურად დაუცველთა ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერი) საჭიროების შემთხვევაში მოხდება მათი დაყოფა და ბინის ქირის თანხა აუნაზღაურდებათ ცალკე-ცალკე.</p> <p>6) დაუშვებელია ქირის თანხის გაცემა იმ ოჯახზე, სადაც რომელიმე წევრს საკუთრებაში ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი გააჩნია.</p>				
დასახელება		პროდუქტი		
		რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
სხვა ხარჯები		380	2 000	760 000
			5*400	
		362	2 800	1 014 000
			7*400	

სულ ჯამი	1 774 000			
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა				
დასახელება	I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება	X	X	X	X
მოსალოდნელი შუალედური შედეგი				
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახები უზრუნველყოფილი არიან ბინის ქირით				

ქვეპროგრამების დასახელება	2025 წელი ფაქტი	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება	1 699 079	1 774 000	1 700 000	1 800 000	1 900 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა
დამატებითი ინფორმაცია	
<p>პროგრამაში ჩასართავად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია:</p> <ol style="list-style-type: none"> განცხადება დაზარალებულის მიერ მუნიციპალიტეტის მერის ან მერის მოადგილის სახელზე; დაზარალებულის პირადობის მოწმობის ასლი და საბანკო რეკვიზიტი; შესაბამისი კომპეტენტური უწყებიდან გაცემული გეოლოგიური დასკვნა; ხანძრის შემთხვევაში შესაბამისი სამსახურიდან ცნობა; სოციალურად დაუცველთა ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან ამონაწერი; <p>ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად, შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის მოხსენებით ბარათის საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება, რომ აღნიშნული ოჯახი ნამდვილად არ ცხოვრობს დაზიანებულ სახლში.</p> <p>ქირის თანხის გაცემა შეწყდება შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების მიღებიდან ორი თვის შემდეგ;</p>	

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2025 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2026 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახები უზრუნველყოფილი არიან ბინის ქირით	დახმარების მიმღები ოჯახების რაოდენობა	374	380	რაოდენობა	20%	ქედის მონიტორინგის მერიის განმარტული და სოციალური დაცვის სამსახური	მონიტორინგი	ინფორმაციის სიმცირე

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:		სოციალური უზრუნველყოფა			
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:		06 02 11			
ქვეპროგრამის დასახელება:		მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალდაკარგულ პირებზე ფინანსური დახმარება			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:		ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური			
ქვეპროგრამის დაფინანსების წყარო		2026-2029 წელი			
მუნიციპალური ბიუჯეტი		100 000			
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი		100 000			
ქვეპროგრამის მიზანი					
მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალდაკარგულ პირებზე ყოველთვიურად ფინანსური დახმარების გაწევა					
ქვეპროგრამის აღწერა					
საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლი ბავშვზე ზრუნვის ტვირთს ორივე მშობელს თანაბრად აკისრებს, თუმცა პირს, რომელიც მარტო (მეორე მშობლის გარეშე) ზრდის თავის არასრულწლოვან შვილ(ებ)ს, მშობლის უფლებები და ვალდებულებები მხოლოდ საკუთარ თავზე აქვს აღებული, ასევე მარჩენალის (მშობელი/მშობლები) დაკარგვის შემთხვევაში ოჯახის სოციალური მდგომარეობა უარესდება, რაშიც იგულისხმება ბავშვის/ბავშვების მორალური და ფინანსური კეთილდღეობის უზრუნველყოფა. ვინაიდან, შვილის აღზრდა-განვითარება დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული გამომდინარე აქედან, მუნიციპალიტეტის მერიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ასეთი კატეგორიის პირებს ყოველთვიურად გაუწიოს ფინანსური დახმარება					
დასახელება		პროდუქტი			
		რაოდენობა	ერთეულის საშუალო ფასი (ლარი)	სულ (ლარი)	
მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირი (სოციალური უზრუნველყოფა)		4	2 400 12*200	9 600	
მარჩენალდაკარგული (სოციალური უზრუნველყოფა)		75	1 200 12*100	90 400	
სულ ჯამი					100 000
ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა					
დასახელება		I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი

მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალდაკარგულ პირებზე ფინანსური დახმარება	X	X	X	X
მოსალოდნელი შუალედური შედეგი				
მარტოხელა მშობლები და მარჩენალდაკარგული პირები უზრუნველყოფილი არიან ფინანსური დახმარებით				

ქვეპროგრამების დასახელება	2025 წელი ფაქტი	2026 წელი გეგმა	2027 წელი პროგნოზი	2028 წელი პროგნოზი	2029 წელი პროგნოზი
მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალდაკარგულ პირებზე ფინანსური დახმარება	98 100	100 000	130 000	150 000	150 000

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;
დამატებითი ინფორმაცია	
<p>პროგრამით ისარგებლებს:</p> <p>1) მარტოხელა მშობელი, რომელთაც ჰყავთ ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ დაბადების აქტში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის მამის ან/დედის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელთაც შვილად ჰყავთ აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რომლებიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში.</p> <p>2) მარჩენალდაკარგული პირი - ერთ-ერთი ან ორივე გარდაცვლილი მშობლის შვილი/შვილები 18 წლამდე ასაკის მიღწევამდე.</p> <p>პროგრამაში ჩასართავად წარმოდგენილი უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტაცია:</p> <p>1. ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მშობლის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის ან მერის მოადგილის სახელზე;</p> <p>2. განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი დედანთან ერთად;</p> <p>3. ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი დედანთან ერთად;</p> <p>4. ცნობა მარტოხელა მშობლის სტატუსის შესახებ;</p> <p>5. ცნობა სააგენტოდან, იმის შესახებ რომ სახელმწიფოს მიერ სარგებლობს მარჩენალდაკარგულის შეღავათებით;</p> <p>5. განმცხადებლის საბანკო რეკვიზიტი;</p> <p>ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად.</p>	

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2025 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2026 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
მარტოხელა მშობლები და მარჩენალდაკარგული პირები უზრუნველყოფილი არიან ფინანსური დახმარებით	დახმარების მიმღები პირების რაოდენობა	80 (მათ შორის ქალი80)	80 (მათ შორის ქალი80)	რაოდენობა	10%	ქედის მუნიციპალიტეტის მერის განყოფილებისა და სოციალური დაცვის სამსახური	შემოსული განცხადებების მიხედვით.	ინფორმაციის სიმცირე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსასაზღვრი ქედის მუნიციპალიტეტზე გადასაცემი სპეციალური ტრანსფერის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ჩამონათვალი

(ლარი)

№	პროექტის დასახელება	2026 წლის გეგმა	ზრდა/კლება (+/-)	2026 წლის პროექტი	შენიშვნა
1	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	500 000	50 000	550 000	მოსახლეობის მაღალი მომართვიანობის გამო
2	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება	1 824 000	-50 000	1 774 000	ბენეფიციართა რაოდენობის შემცირება
სულ		2 324 000	0	2 324 000	

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით განსასაზღვრი ქედის მუნიციპალიტეტზე გადასაცემი კაპიტალური ტრანსფერის ფარგლებში განსახორციელებელი კაპიტალური პროექტების ჩამონათვალი

№	პროექტის დასახელება	განკარგულებით გამოყოფილი თანხა	ზრდა/კლება (+/-)	განკარგულების პროექტი	შენიშვნა
1	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია	378 400	200 000	578 400	2025 წელის მოსული უხვი ნალექების შედეგად დაზიანდა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურა, რაც საჭიროებს რეაბილიტაციას რისთვისაც საჭიროა აღნიშნული თანხის დამატება
2	დაბა ქედის კულტურის სახლის რეაბილიტაცია	3 726 600		3 726 600	
3	მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები	1 430 000	516 600	1 946 600	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად ჩნდება ახალი დამეწყერილი ლოკაციები, რის გამოც საჭიროა დამატებითი ფინანსების მოძიება მეწყერული პროცესების შეჩერებისა და პრევენციის მიზნით.
4	პირველი მაისის სოციალური სახლისათვის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	421 000	-106 800	314 200	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
5	სოფელ სირაბიძეების წყალმომარაგება	720 000	-420 000	300 000	მაღალი რელიეფის გამო ვერ ხერხდება პროექტის დასრულება მიმდინარე წელს და საჭიროებს ორწლიან შესყიდვას და მიმდინარე წელს შესაძლებელია 300000 ლარის ათვისება.
6	წონიარისის კულტურის სახლის მშენებლობა	500 000	106 000	606 000	იგვლება/ზუსტდება ღონისძიების დასახელება: დაგეგმილი იყო სარეაბილიტაციო სამუშაოები, მაგრამ რეაბილიტაციის პროცესში ბათუმის ჩამოშლის შემდეგ, შიდა კედლების მდგრადობა დაირღვა მისი სიძვლის და უხარისხობის გამო, ამიტომ შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება მიზანშეუწონელია და საჭიროა ახლის მშენებლობა.
7	სოციალური სახლის მშენებლობა	720 000	-670 000	50 000	დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს საპროექტო-საღარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესწორება, რამაც დააყოვნა სამშენებლო სამუშაოების ელექტრონული ტენდერის გამოცხადება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ჯერჯერობით ვერ ხერხდება მთლიანი თანხის ათვისება.
8	მთა „ტბათში“ ელექტრო-გადამცემი ხაზის მოწყობა	630 000		630 000	
9	პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	100 000		100 000	
10	დაბა ქედაში, დ.აღმაშენებლის ქუჩა N2-ში, კედლის მოწყობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები	0	374 200	374 200	აღნიშნული ინფრასტრუქტურულ პროექტის მიზანია როგორც ტერიტორიის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე ურბანული გარემოს გაუმჯობესება.
სულ		8 626 000	0	8 626 000	

ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების რეესტრი

№	პროგრამული კოდი	დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა
1	1.3.3.1.2.1.1	აჭარის მთავრობის თავმჯდომარის 2026 წლის 31 მარტის N36 ბრძანება (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)	750 000	სპეციალური ტრანსფერი (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)
2	1.3.3.1.2.1.1	აჭარის მთავრობის თავმჯდომარის 2026 წლის 27 იანვარი N146 ბრძანება	208 580	სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (აჭარა ა/რ სარეზერვო ფონდიდან)
3	1.3.3.1.2.1.1	აჭარის მთავრობის თავმჯდომარის 2026 წლის 30 მარტის N397 ბრძანება	431 915	სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (აჭარა ა/რ სარეზერვო ფონდიდან)
4	1.3.3.1.1.1.2	სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო	70 040	ბენეფიციართა მომართვიანობის გამო ტრანსფერის დამატება
5		არაფინანსური აქტივების კლება	40 000	
6	01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	350 000	შრომის ანაზღაურება 250000 ლარი, საქონელი და მომსახურება (შტატგარეშე) 100000 ეკონომიიდან მიღებული რესურსი
7	02 01 05	შ.პ.ს. ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო	20 000	სუბსიდია (შრომის ანაზღაურების ფონდში მიღებული ეკონომია)
8	02 02 01 01	სოფელ სირაბიძეების წყალმომარაგება	420 000	მაღალი რელიეფის გამო ვერ ხერხდება პროექტის დასრულება მიმდინარე წელს და საჭიროებს ორწლიან შესყიდვას და მიმდინარე წელს შესაძლებელია 300000 ლარის ათვისება. არაფინანსური აქტივი
9	02 02 01 02	პირველი მაისის სოციალური სახლისათვის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა	106 800	ტენდერიდან მიღებული ეკონომია. არაფინანსური აქტივი
10	02 02 02	შპს წყლკანალი	88 000	სუბსიდია (შტატგარეშე ფონდში მიღებული ეკონომია)

11	02 03 01 02	სოციალური სახლის მშენებლობა	670 000	დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს საპროექტო-საღარჯთააღრიცხვო დოკუმენტაციის შესწორება, რამაც დააყოვნა სამშენებლო სამუშაოების ელექტრონული ტენდერის გამოცხადება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ჯერჯერობით ვერ ხერხდება მთლიანი თანხის ათვისება. არაფინანსური აქტივი
12	02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	8 000	სუბსიდია (შტატგარეშე ფონდში მიღებული ეკონომია)
13	04 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება	60 000	შრომის ანაზღაურების ფონდში მიღებული ეკონომია
14	04 02 02	სსიპ ვახტანგ ჰაპუნაძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის საკლასო ოთახის რემონტი და ინვენტარის შეძენა	153 569	საქონელი და მომსახურება 6102,34 ლარი, არაფინანსური აქტივები 147467 ლარი.
15	05 01 01	ქედის სასპორტო სკოლა	23 000	საქონელი და მომსახურება (შტატგარეშე ფონდში მიღებული ეკონომია)
16	05 01 03 01	შ.პ.ს. სარაგბო კლუბი ფირალები	33 300	სუბსიდია (შტატგარეშე ფონდში მიღებული ეკონომია)
17	05 01 03 02	ა(ა)იპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“	9 000	შრომის ანაზღაურების ფონდში მიღებული ეკონომია
18	05 02 03	ა.ა.ი.პ ქედის ისტორიული მუზეუმი	16 600	საქონელი და მომსახურება (შტატგარეშე ფონდში მიღებული ეკონომია)
19	06 02 10	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება	50 000	სხვა ხარჯი (ბენეფიციართა რაოდენობის შემცირება)
ჯამი			3 508 804	X

№	პროგრამული კოდი	ასიგნებების დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა
1	01 01 01	ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო	17 600	სხვა ხარჯი (სადეპუტატო უფლებამოსილების ხარჯი)
2	01 01 02	ქედის მუნიციპალიტეტის მერია	0	მუხლებს შორის თანხის გადატანა: შრომის ანაზღაურებიდან სოციალური უზრუნველყოფის მუხლში 5 536 ლარი (საავადმყოფო ფურცელი).
3	02 01 01	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია	200 000	2025 წელის მოსული უხვი ნალექების შედეგად დაზიანდა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურა, რაც საჭიროებს რეაბილიტაციას რისთვისაც საჭიროა აღნიშნული თანხის დამატება
4	02 01 04	საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	5 800	სუბსიდია (ავტომანქნის რემონტი)
5	02 01 06	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ამბულატორიებში დასაქმებული ექიმების ტრანსპორტიტებით უზრუნველყოფა	8 400	სუბსიდია (ავტომანქნის რემონტი)
6	02 02 01 03	სოფელ ჭინკაძეებში წყალმომარაგების სისტემების მოწყობა	42 000	დღეის მდგომარეობით, სოფლის მოსახლეობა განიცდის სასმელი და საყოფაცხოვრებო წყლის მიწოდებასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს როგორც ყოველდღიური ცხოვრების, ასევე მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სანიტარიული პირობების თვალსაზრისით, რისთვისაც საჭიროა აღნიშნული პროექტის გნხორციელება
7	02 03 01 03	ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამა	15 000	არაფინანსური აქტივები
8	02 03 02 01	მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები	516 600	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად ჩნდება ახალი დამეწყერილი ლოკაციები, რის გამოც საჭიროა დამატებითი ფინანსების მოძიება მეწყერული პროცესების შეჩერებისა და პრევენციის მიზნით. არაფინანსური აქტივები
9	02 03 03 01	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობის, ინფრასტრუქტურის მოწყობის და სხვადასხვა ინვენტარის შექმნა	41 100	განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ღონისძიებებისთვის
10	02 03 03 02	დაბა ქედაში, დაღმაშენებლის ქუჩა N2-ში, კედლის მოწყობისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები	374 200	აღნიშნული ინფრასტრუქტურულ პროექტის მიზანია როგორც ტერიტორიის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე ურბანული გარემოს გაუმჯობესება.

11	02 04 01	ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები	5 000	საქონელი და მომსახურეობა (უძრავი ქონების აზომვითი ნახაზები)
12	02 04 03	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა	9 300	არაფინანსური აქტივები
13	02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	750 000	არაფინანსური აქტივები
14	02 08	შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	102 000	სუბსიდია (ქედელობა 100 000 ლარი, საწევრო 2 000 ლარი), მუხლებს შორის თანხის გადატანა: სუბსიდიიდან სხვა ხარჯებში 600 ლარი
15	03 01 01	შპს ქედის კომუნალურსერვისი	100 000	სუბსიდია (გარე განათება 100 000 ლარი)
16	04 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება	0	მუხლებს შორის თანხის გადატანა: შრომის ანაზღაურებიდან სოციალური უზრუნველყოფის მუხლში 7 300 ლარი (საავადმყოფო ფურცელი), შრომის ანაზღაურებიდან არაფინანსურ აქტივები 10 000 ლარი, საქონელი და მომსახურებიდან არაფინანსურ აქტივებში 35 000 ლარი
17	05 01 02	სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა	70 000	სპორტსმენების ჯილდო 70 000 ლარი, მუხლებს შორის თანხის გადატანა: საქონელი და მომსახურებიდან სხვა მიმდინარე ხარჯებში 10 000 ლარი
18	05 01 03 02	ა.(ა)იპ ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა	0	მუხლებს შორის თანხის გადატანა: შრომის ანაზღაურებიდან საქონელი და მომსახურების მუხლში 1 000 ლარი
19	05 02 01	ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრი	16 700	სხვა საქონელი და მომსახურების მუხლში დამატება (საწევრო 4 700 ლარი, მივლინება ქვეყნის გარეთ 12 000 ლარი), მუხლებს შორის თანხის გადატანა გადატანა: შრომის ანაზღაურებიდან საქონელი და მომსახურების მუხლში 3 000 ლარი, არაფინანსური აქტივიდან საქონელი და მომსახურების მუხლში 7 000 ლარი.

20	05 02 02	ა.ა.ი.პ ქედის სახელოვნებო სკოლა	0	მუხლებს შორის თანხის გადატანა: საქონელი და მომსახურებიდან არაფინანსურ აქტივების მუხლში (ვებ გვერდი) 3 000 ლარი.
21	05 02 04	კულტურული ღონისძიების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა	10 000	ხანდაზმულთა კლუბის მხარდაჭერა
22	05 02 07	რელიგიური საქმიანობის ხელშეწყობა	200 000	რელიგიური საქმიანობისთვის ხელშეწყობა
23	05 02 05 01	ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა	5 000	ახალგაზრდული ფესტივალი „ახალი თაობის სივრც“-ის აღნიშვნა
24	05 02 06 02	წონიარისის კულტურის სახლის მშენებლობა	106 000	იკვლება/ზუსტდება ღონისძიების დასახელება: დაგეგმილი იყო სარეაბილიტაციო სამუშაოები, მაგრამ რეაბილიტაციის პროცესში ბათქაშის ჩამოშლის შემდეგ, შიდა კედლების მდგრადობა დაირღვა მისი სიძველის და უხარისხობის გამო, ამიტომ შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება მიზანშეუწონელია და საჭიროა ახლის მშენებლობა.
25	06 01 04	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	50 000	მოსახლეობის მაღალი მომართვიანობა
26	06 01 06	შშმ პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების პროგრამა	70 040	ბენეფიციართა მომატების გამო იზრდება დაფინანსება. მუხლებს შორის თანხის გადატანა: სუბსიდიიდან სოციალურში 200 ლარი
27	06 02 13	სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (აჭარა)	640 495	სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (აჭარა ა/რ სარეზერვო ფონდიდან)
ასიგნებების ჯამი			3 355 235	X
ხარჯებსა და შემოსავლებს შორის ბალანსი			-153 569	X
ნაშთიდან მოსესხების შემცირება			153 569	X
საერთო ბალანსი			0	X
ბიუჯეტი იზრდება			1 346 966	



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № - -

2026 წლის - - ივნისი
დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: www.matsne.gov.ge, სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.134.016234. 09/01/2018) შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „ე.ს“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე.ს¹“, „ე.ს²“, „ე.ს³“, „ე.ს⁴“, „ე.ს⁵“, და „ე.ს⁶“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე.ს¹) განსაზღვრავს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის საკითხების შესახებ წარდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და საბჭოსათვის განსახილველად წარდგენაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულისა და პასუხისმგებელ პირ(ებ)ს;

ე.ს²) განსაზღვრავს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერების, აღდგენის და ცნობის გაცემის მიზნით წარდგენილი განცხადების (დოკუმენტაციის) მიღებაზე და მუნიციპალიტეტის მართვის სისტემაში (portal.mms.gov.ge) დარეგისტრირებაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)ს;

ე.ს³) განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (MMS) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საქმისწარმოებაზე, პასუხისმგებელ პირ(ებ)ს (როლებს);

ე.ს⁴) განსაზღვრავს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)ს;

ე.ს⁵) იღებს გადაწყვეტილებას ფიზიკური პირისთვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხზე;

ე.ს⁶) ამტკიცებს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები ფიზიკური პირის სტატუსის მინიჭების განაცხადის ფორმას;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ¹“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ნ1) „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს მთავრობის 2025 წლის 25 დეკემბრის №587 დადგენილებით დამტკიცებული „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესი“-ს მოთხოვნათა შესაბამისად ახორციელებს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა სტატუსის მონიტორინგს, შესაბამის მასალებს წარუდგენს მერს და საბჭოს;“

გ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ადმინისტრაციული სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: კანონმდებლობის შესაბამისად მერიის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და საქმისწარმოების საკითხების მოწესრიგება; მერიის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის კოორდინაციისათვის ხელშეწყობა; მოქალაქეებთან, იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა გაერთიანებებთან მერიის ურთიერთობების ორგანიზება; მერიის ოფიციალური ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება; მერის წარმომადგენელთა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დასაქმებულ სხვა პირთა მიერ უფლებამოსილების და დავალებების სწრაფი და ეფექტური შესრულების, წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაცია, მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის დამუშავება და არსებული პრობლემების დროული გადაწყვეტა; მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის ადმინისტრირება, საზოგადოებასთან ურთიერთობის და საჯარო ინფორმაციის მიწოდების წესების დაცვის უზრუნველყოფა; მასზე ფუნქციურად მიკუთვნებული სხვა საკითხების გადაწყვეტა.“

დ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-18¹ მუხლის მე-2 პუნქტის შემდგომ დამატოს შემდეგი შინაარსის მე-2¹ პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2¹. მოხელის თანამდებობის თითოეული დასახელება და იერარქიულ რანგებში განაწილება განისაზღვრება „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის“ განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილებით.“

ე) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-18¹ მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგება თითოეული თანამდებობის სპეციფიკის და ამ თანამდებობისთვის დადგენილი სამუშაოს აღწერილობის გათვალისწინებით, სადაც განისაზღვრება ცალკეული თანამდებობის დასაკავებლად საჭირო კვალიფიკაცია, სამუშაო გამოცდილება (სტაჟი), აგრეთვე დამატებითი ცოდნა და უნარ-ჩვევები. დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები თანხმდება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან და მტკიცდება მერის ბრძანებით.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2025 წლის 26 დეკემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

**ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე**

ამირან ცინცაძე

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე
ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

2025 წლის 25 დეკემბრის ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის №587 დადგენილება „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესი“-ს დამტკიცების შესახებ, აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებისა და სამართლებრივად მოწესრიგების მიზნით საჭიროა შესაბამისი ცვლილებების ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში შეტანა.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტში - „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში სათანადო ცვლილების განხორციელება რათა სამართლებრივად კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოვიდეს აღნიშნული დებულება.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებაში შეიტანოს სათანადო ცვლილებები ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ინიციატივისა და მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესაბამისად განხორციელდა სწორედ აღნიშნულ დებულებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რომელიც წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად განსაზღვრულია ზემოთ აღნიშნულ დადგენილების პროექტში.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მე-2 მუხლი ითვალისწინებ მისი ამოქმედების ვადაც რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

„დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2025 წლის 26 დეკემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.“

ა.დ) ნორმატიული აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ წარმოდგენილი ნორმატიული აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რათა დროულად მოწესრიგდეს შემდგომი სამართლებრივი საკითხები.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2026 წლის 04 ივნისის NGOV52600018444 საკონსულტაციო დასკვნა.

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური (სამსახურის უფროსი ბადრი სურმანიძე).

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.



GOV 5 26 00018444



04/06/2026

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საკონსულტაციო დასკვნა

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულმა დეპარტამენტმა განიხილა 2026 წლის 29 მაისის №95-95261493 წერილით სამართლებრივი კონსულტაციისთვის წარმოდგენილი ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტები „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტში მოცემული „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“ ცვლილების მიზნით მე-8 მუხლის („მუნიციპალიტეტის მერი“) მე-3 პუნქტში შესატანი დამატებები გაუმართავია შინაარსობრივი და სამართლებრივი კუთხით, კერძოდ:

- „ე.ს¹“ და „ე.ს³“ ქვეპუნქტებში დასაზუსტებელია, რა სახის სტატუსის მინიჭებას ეხება საკითხი;
- „ე.ს¹“-„ე.ს⁴“ ქვეპუნქტებში ფრაზა - (მერი) „იღებს გადაწყვეტილებას ... პირ(ებ)ის განსაზღვრის საკითხზე“ არ არის სამართლებრივად სწორი და მიზანშეწონილია აღნიშნულის შეცვლა სიტყვებით „განსაზღვრავს.. პირ(ებ)ს“, რამდენადაც „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 25 დეკემბრის №587 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის

სტატუსის მინიჭების/სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტის მე-2 მუხლში მითითებული, დადგენილების უკუქცევით ასამოქმედებელი ვადის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია აქტის პრეამბულაში „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის დასახელება.

2. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი თითქმის უცვლელად იმეორებს „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლებს და არ აწესებს კონკრეტულ ნორმებს ქედის მუნიციპალიტეტში შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობის, გასეირნების, მგზავრობის, ღონისძიებებში მათი მონაწილეობის მოთხოვნების განსაზღვრის, უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის, შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში პოპულაციების მონიტორინგისა და თავშესაფრების ორგანიზების კუთხით. კერძოდ, 16-მუხლიან წესში სიტყვა-სიტყვით არის გადმოტანილი კანონის ზოგადი ნორმები, დადგენილების პროექტის სარეზოლუციო ნაწილის მე-2-მე-4 მუხლები კი „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის („კანონის ამოქმედება“) ანალოგიით ადგენს დანართით დამტკიცებული წესის მუხლების ამოქმედების სხვადასხვა ვადებს: მე-2 მუხლით დადგენილია დანართის ჩამონათვალი მუხლების გამოქვეყნებისთანავე ამოქმედება, მე-3 მუხლით - 2026 წლის 1 ივლისიდან, ხოლო მე-4 მუხლით - 2028 წლის 1 ივლისიდან. კანონქვემდებარე აქტში სპეციალური საკანონმდებლო აქტის ნორმების უცვლელად გადმოტანა მხოლოდ ფორმალურად პასუხობს „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტით მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოსთვის განსაზღვრულ მოთხოვნას და საჭიროებს შესაბამის რედაქტირებას.

დადგენილების პროექტის დანართით დასამტკიცებელი წესის მე-2 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტსა და მე-5 მუხლში სავალდებულოა მუნიციპალიტეტის საკრებულომ განსაზღვროს და დაზუსტებით მიუთითოს „მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო“, რომელიც, „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, იმავდროულად, იქნება მარეგისტრირებელი ორგანოც და განახორციელებს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ უფლებამოსილებებს.

გარდა ამისა, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა განსაზღვროს მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეული ან სხვა პირი, რომელიც უფლებამოსილი იქნება, განახორციელოს კანონმდებლობის შესაბამისი რეაგირება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 103-ე და 103²-103⁴ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე. ამასთან ერთად, შესაძლებელია, აუცილებელი გახდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის - საჯარიმო ქვითრის ფორმისა და მასთან დაკავშირებული სამართალწარმოების სხვა დოკუმენტების ფორმების დამტკიცებაც.

განსახილველი დადგენილების პროექტებზე თანდართული განმარტებითი ბარათები სრულად არ აკმაყოფილებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებს და საჭიროებს გადამუშავებას.

ამდენად, დადგენილებების პროექტების მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზემოაღნიშნული შენიშვნების მიხედვით გადამუშავების შემთხვევაში.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
ადმინისტრაციის უფროსი

ლევან ჟორჯოლიანი





ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № - -

2026 წლის - - ივნისი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების
მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტისა და „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესი, თანახმად დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის პირველი ივლისიდან.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღვები და კატები) (შემდგომში – ცხოველები) მოვლა-პატრონობის და მათი ყოლის წესს (შემდგომში - წესი). ეს წესი ადგენს ცხოველების ყოლის, მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის პირობებს და როგორც ცოცხალი არსებებისათვის, მინიჭებულ ბუნებრივ უფლებებს და მათი დაცვის სამართლებრივ მექანიზმებს.

2. წესის მიზანია ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის თანამედროვე, მსოფლიოში აპრობირებული, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით ურბანულ გარემოში ადამიანისა და ცხოველის თანაარსებობის უსაფრთხო, საიმედო და მეგობრული გარემოს შექმნა, შესაძლო საფრთხეებისა და რისკების იდენტიფიცირება და მათი პრევენცია/მართვა.

3. წესის ამოცანებია:

ა) ადამიანის და შინაური ბინადარი ცხოველის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა სხვა შინაური ბინადარი ცხოველისგან მომდინარე საფრთხეებისგან, აგრეთვე არასათანადო, არაჰუმანური და სასტიკი მოპყრობის პრევენცია;

ბ) შინაური ბინადარი ცხოველების კეთილდღეობის უზრუნველყოფა, მათ შორის, მოვლა-პატრონობის, პატრონაჟისა და ზედამხედველობის რეჟიმების განსაზღვრა და ჰუმანური სტანდარტების დანერგვა;

გ) შინაური ბინადარი ცხოველების იდენტიფიკაციის, რეგისტრაციისა და ერთიან მონაცემთა ბაზაში აღრიცხვის სისტემის ჩამოყალიბება მათი მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად;

დ) შინაურ ბინადარ ცხოველთა პოპულაციის მართვა და კონტროლი საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული ჰუმანური მეთოდების საფუძველზე;

ე) ზოოანთროპონოზური (მათ შორის, რაბიოლოგიური და პარაზიტოლოგიური) რისკების პრევენცია და ურბანულ გარემოში სათანადო სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის ხელშეწყობა;

ვ) შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში უფლებამოსილი ორგანოების კომპეტენციების განსაზღვრა, აგრეთვე მეპატრონეთა, მიმკვდლებელთა და საქმიანობის განმახორციელებელი სხვა სუბიექტების ვალდებულებები და პასუხისმგებლობის სამართლებრივი რეგლამენტაცია.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, როგორც „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონით არის განმარტებული.

მუხლი 3. შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო

1. ქედის მუნიციპალიტეტში, შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქედის კომუნალურსერვისი“ (ს/ნ-246761213) (შემდგომში – მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო).

2. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ამ წესითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით ახორციელებს:

ა) მეპატრონის მიერ ვალდებულებების შესრულების ზედამხედველობას;

ბ) მიმკვდლებლის მიერ ვალდებულებების შესრულების ზედამხედველობას;

გ) საშენის რეგისტრაციას;

დ) უპატრონო/მიკვდლებული ცხოველის პოპულაციის მართვასა და ანტირაბიულ ვაქცინაციას;

ე) მიკედლებული ცხოველის დაჭერის შესახებ ინფორმაციის მიმკედლებლისთვის შეტყობინებას;

ვ) უპატრონო/მიკედლებული ცხოველის ლემის განკარგვას.

3. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია უპატრონო/მიკედლებული ცხოველის პოპულაციის მართვა განახორციელოს კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 4. ცხოველთა კლასიფიკაცია და სტატუსი

1. ურბანულ გარემოში ბინადარ ცხოველებს ენიჭებათ ერთ-ერთი შემდეგი სტატუსი:

ა) პატრონიანი;

ბ) მიკედლებული;

გ) უმეთვალყურეო;

დ) უპატრონო.

2. პატრონიანის სტატუსი ენიჭება ცხოველს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მესაკუთრის განცხადების საფუძველზე, დარეგისტრირდება ცხოველების რეგისტრაციის განმახორციელებელი შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ.

3. მიკედლებულის სტატუსი ენიჭება ცხოველს, შესაბამისი ფიზიკური ან იურიდიული პირის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ ცხოველის ამგვარად რეგისტრაციის მომენტიდან.

4. უმეთვალყურეოდ ითვლება ცხოველი, რომელსაც დროის კონკრეტულ მონაკვეთში არ უდგინდება მეპატრონე ან ცხოველის მიმკედლებელი და რომლის მიმართ ტარდება ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები.

5. უპატრონოს სტატუსი ენიჭება ცხოველს, რომელსაც არ ჰყავს ან არ უდგინდება მეპატრონე ან მიმკედლებელი.

6. პატრონიანისა თუ უპატრონოს სტატუსი უდგინდება უმეთვალყურეო ცხოველს მისთვის მეპატრონის დასადგენად ან ახალი მეპატრონის მოძიების მიზნით გასატარებელი შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების დაწყებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 5. ცხოველების იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და მონაცემთა ერთიანი ბაზის წარმოება

1. მონაცემთა ერთიანი ბაზაში ცხოველთა რეგისტრაცია ხორციელდება „მინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ წესითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

2. მონაცემთა ერთიანი ბაზაში ფიზიკური პირი მეპატრონედ შეიძლება დარეგისტრირდეს მხოლოდ 16 წლის ასაკის მიღწევისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლით გათვალისწინებული ნასამართლობის არქონის შემთხვევაში.

3. ცხოველთა მარეგისტრირებელი ორგანოებია: მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო, ვეტერინარული დაწესებულება, ცხოველთა თავშესაფარი და ცხოველთა საშენი.

4. მონაცემთა ერთიანი ბაზაში შეიტანება იდენტიფიცირებული ცხოველის შესახებ შემდეგი ინფორმაცია (ცხოველების იდენტიფიკაციის რეესტრი - დანართი №3):

ა) სახეობა, ჯიში, სქესი, დაბადების თარიღი, სახელი, გარეგნობის აღწერა, შეფერილობა, მიკროჩიპის ან საყურე ნიშნის (საჭდის) ნომერი;

ბ) სტერილიზაციის/კასტრაციის შესახებ;

გ) ვაქცინაციის შესახებ;

დ) მეპატრონე/მიმკედლებელი ფიზიკური პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი და საცხოვრებელი მისამართი, ხოლო მეპატრონე/მიმკედლებელი იურიდიული პირის შემთხვევაში – სახელწოდება, საიდენტიფიკაციო კოდი, საკონტაქტო ინფორმაცია;

ე) სანაშენე ცხოველად, საგამოფენო ცხოველად და სასამსახურო ძალად აღნიშვნის შესახებ;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა აუცილებელი მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია იდენტიფიკაცია-რეგისტრაციასთან.

5. ცხოველის რეგისტრაციისას გაიცემა სარეგისტრაციო მოწმობა, ხოლო ცხოველს ენიჭება სარეგისტრაციო მოწმობის ნომრის შესაბამისი პირადი ნომერი. ცხოველის პატრონის საცხოვრებელი ან/და ცხოველის ბინადრობის ადგილის, საკონტაქტო ან სხვა სარეგისტრაციო მონაცემების

შეცვლისას, რეგისტრაციის განმახორციელებელი ორგანო უზრუნველყოფს შესაბამისი ცვლილებების შეტანას სარეგისტრაციო მონაცემებში (ცხოველის სარეგისტრაციო მოწმობა - დანართი №2).

6. ცხოველის რეგისტრაციის განმახორციელებელი შესაბამისი დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ამ წესით გათვალისწინებული ცხოველთა ახალი სარეგისტრაციო და ჩატარებული ოპერაციების (სტერილიზაცია, კასტრაცია) შესახებ მონაცემების უსასყიდლოდ წარდგენა სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში.

7. ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია ხორციელდება „შინაური ბინადარი ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პირობებისა და ვადების დადგენის და მონაცემთა ერთიანი ბაზის მართვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 12 მარტის №104 დადგენილებით განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

მუხლი 6. ცხოველის მეპატრონე

1. ფიზიკურ ან იურიდიულ პირს უფლება აქვს შეიძინოს, აიყვანოს (თავშესაფრიდან ან ქუჩიდან), იჩუქოს ან მიიღოს მემკვიდრეობით ცხოველი, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

2. რეგისტრირებული ცხოველი წარმოადგენს ცხოველის მეპატრონის საკუთრებას.

მუხლი 7. მეპატრონის ვალდებულებები

1. ცხოველის კეთილდღეობის, მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის მართვის ვალდებულებების ფარგლებში, ცხოველის სახეობისა და ჯიშის თავისებურებების გათვალისწინებით, მეპატრონე ვალდებულია უზრუნველყოს „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით განსაზღვრული ნორმების დაცვა.

2. მეპატრონის გარდაცვალების შემთხვევაში მისი მემკვიდრე ვალდებულია დარეგისტრირდეს მეპატრონედ მონაცემთა ერთიან ბაზაში. თუ მემკვიდრე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უარს ამბობს სამკვიდროს მიღებაზე, იგი ვალდებულია უზრუნველყოს ცხოველისთვის ახალი მეპატრონის მოძიება, ხოლო ახალი მეპატრონის მოძიების შეუძლებლობის შემთხვევაში – მისი თავშესაფარში გადაყვანა.

3. თუ ცხოველის ინფორმაცია არ არის შეტანილი მონაცემთა ერთიან ბაზაში, ვეტერინარული დაწესებულება უზრუნველყოფს მის იდენტიფიკაციასა და რეგისტრაციას, ხოლო აღნიშნული პროცედურის ხარჯებს ანაზღაურებს მეპატრონე.

4. დასაშვებია სანაშენე ცხოველის მოშენება არაკომერციული მიზნით „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოშენების წესისა და ვადების შესაბამისად.

5. მეპატრონე ვალდებულია აცნობოს ცხოველების რეგისტრაციის განმახორციელებელ დაწესებულებას:

ა) საკუთარი ან/და ცხოველის საცხოვრებელი ადგილის, საკონტაქტო ინფორმაციის ან რეგისტრაციისთვის მნიშვნელობის მქონე სხვა მონაცემების ცვლილების შესახებ;

ბ) მიკროჩიპის ან საყურე ნიშნის (საჭდის) დაკარგვის ან დაზიანების შესახებ ცხოველის განმეორებითი იდენტიფიკაციის უზრუნველყოფის მიზნით;

გ) მის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული სანაშენე ცხოველის გამრავლების შედეგად ნაყარის დაბადებისა და მისი გასხვისების (გაჩუქება, გაყიდვა, გაცვლა ან სხვა ფორმით გადაცემა) თითოეული ფაქტის შესახებ, სარეგისტრაციო მონაცემების განახლებისა და ამ წესით გათვალისწინებული მიზნების უზრუნველსაყოფად.

6. პოტენციურად მომეტებული რისკის მქონე ძაღლის პატრონი ვალდებულია ცხოველის საცხოვრებელი ტერიტორიის ყველა შესასვლელთან განათავსოს თვალსაჩინო გამაფრთხილებელი წარწერა ან შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი, რომელიც წაკითხვადი/აღქმადი უნდა იყოს დღე-ღამის ნებისმიერ დროს.

7. აკრძალულია:

ა) არასამკურნალო მიზნით ან ფუნქციური დანიშნულების გარეშე ცხოველისთვის ვეტერინარული ოპერაციების ჩატარება, კერძოდ: ყურების კუპირება, კუდის კუპირება, ეშვების ექსტრაქცია, კლანჭების ოპერაციული ამოკვეთა, სმენის დაქვეითება და ხმის იოგების გადაჭრა;

ბ) პოტენციურად მომეტებული რისკის ძაღლის გამრავლება, ნარევი (მეტისი) ცხოველის გამრავლება, იმ ცხოველის გამრავლება, რომელიც იდენტიფიცირებული და რეგისტრირებული არ არის მონაცემთა ერთიან ბაზაში, ცხოველის შეჯვარება გარეულ ცხოველთან;

გ) ცხოველის შეყვანა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლესი საგანმანათლებლო და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობებში (გარდა საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის შემთხვევისა), ასევე საავადმყოფოში, გარდა კატისა და მცირე ზომის ძაღლისა, რომელთა შეყვანა დასაშვებია ხელში აყვანით ან სპეციალური გადამყვანის (კონტინერის, ჩანთის) მეშვეობით, აგრეთვე ასისტენტი ძაღლისა;

დ) ცხოველთან ერთად მგზავრობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საზოგადოებრივ ტრანსპორტში საბელის და ალიკაპის გარეშე, ხოლო კატისა და მცირე ზომის ძაღლის შემთხვევაში – ხელში აყვანის ან სპეციალური გადამყვანის (კონტინერის, ჩანთის) გარეშე;

ე) ცხოველების შეყვანა სასურსათო მაღაზიებში, აფთიაქებში, ასევე, იმ საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, დაწესებულებებსა და ტერიტორიებზე, სადაც არის შესაბამისი აკრძალვის ნიშანი;

ვ) ცხოველთა ორთაბრძოლების გამართვა;

ზ) ცხოველის ევთანაზია არაჰუმანური მეთოდებით;

თ) ცხოველის მიტოვება, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, როდესაც არსებობს ცხოველის სათანადო მოვლა-პატრონობის ან/და მეპატრონესა და ცხოველს შორის თანაარსებობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობები; აღნიშნულ შემთხვევაში მეპატრონე ვალდებულია უზრუნველყოს ცხოველისთვის ახალი მეპატრონის მოძიება და მისი რეგისტრაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში, ხოლო ახალი მეპატრონის მოძიების შეუძლებლობის შემთხვევაში – გადაიყვანოს ცხოველი თავშესაფარში კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად;

ი) ცხოველისადმი არასათანადო ან სასტიკი მოპყრობა ან ასეთი ქმედების ხელშეწყობა.

მუხლი 8. ცხოველის მიკედლება

1. ფიზიკურ პირსა და იურიდიულ პირს უფლება აქვთ, უზრუნველყონ უპატრონო ცხოველის მიკედლება.

2. მიკედლების საფუძველია მიმკედლებლის რეგისტრაცია მონაცემთა ერთიან ბაზაში. მიკედლება წყდება მიმკედლებლის განცხადების საფუძველზე ან მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.

3. ცხოველის მიკედლება დასაშვებია მხოლოდ სტერილიზაციის/კასტრაციის შემდეგ.

4. დაუშვებელია ცხოველის მიკედლება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, სამედიცინო დაწესებულების შენობებში, აგრეთვე საბავშვო და სპორტულ მოედნებზე.

5. მიმკედლებელს უფლება აქვს, უზრუნველყოს მიკედლებული ცხოველის:

ა) ვეტერინარული მომსახურება;

ბ) დაავადებების პროფილაქტიკა და დიაგნოსტიკა;

გ) დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

6. ცხოველის კეთილდღეობის პრინციპების გათვალისწინებით მიმკედლებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიკედლებული ცხოველის კვება-დარწყულება;

ბ) უზრუნველყოს მიკედლებული ცხოველის ანტირაბიული ვაქცინაცია, ხოლო ანტირაბიული ვაქცინაციის უზრუნველყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში – მიმართოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს;

გ) მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს, თუ მიკედლებულ ცხოველს გამოუვლინდა სხვა ცხოველისთვის ან/და ადამიანისთვის საშიში დაავადება ან ასეთი დაავადების საეჭვო ნიშნები;

დ) ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიკედლებულ ცხოველთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილებების შეუფერხებლად განხორციელებას, მათ შორის, მიაწოდოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია ცხოველის მდგომარეობის შესახებ;

ე) მიკედლებაზე საკუთარი სურვილით უარის თქმის შემთხვევაში ამის შესახებ აცნობოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოს და მიმკედლებლად რეგისტრაციის გაუქმებამდე განაგრძოს ცხოველის მეთვალყურეობა.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მიკედლებული ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო თავის სისტემაში შემავალი მუნიციპალური თავშესაფრის ან თავის მიერ უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

მუხლი 9. უპატრონო/მიკედლებული ცხოველის პოპულაციის მართვა

1. უპატრონო/მიკედლებული ცხოველის კეთილდღეობისა და პოპულაციის მართვის მიზნით მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო უზრუნველყოფს უპატრონო/მიკედლებული ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას, სტერილიზაციას/კასტრაციასა და ანტირაბიულ ვაქცინაციას.

2. პოპულაციის მართვის უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია განახორციელოს უმეთვალყურეო/უპატრონო/მიკედლებული:

ა) ძაღლის ჰუმანური მეთოდით დაჭერა და იზოლაცია;

ბ) ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის მონაცემთა ერთიან ბაზაში გადამოწმება;

გ) ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის (ვეტერინარული მომსახურება) და ქცევითი თავისებურებების დადგენა;

დ) ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია;

ე) ცხოველის სტერილიზაცია/კასტრაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის შესაძლებლობას იძლევა;

ვ) ცხოველის პოსტოპერაციული რეაბილიტაცია;

ზ) ცხოველის ანტირაბიული ვაქცინაცია;

თ) ცხოველის დეჰელმინთიზაცია ან/და კომპლექსური ვაქცინაცია საჭიროების შემთხვევაში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მეძუძური ძაღლის დაჭერა დასაშვებია მხოლოდ ნაყართან ერთად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეძუძურ ძაღლს ესაჭიროება გადაუდებელი ვეტერინარული მომსახურება, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გაეწიოს და მიღებული იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

4. ცხოველის მიერ სხვა ცხოველის ან/და ადამიანის დაკბენის/დაკაწვრის/დადორბვლის შემთხვევაში ცხოველი უნდა მოთავსდეს კარანტინში/იზოლაციაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია მეპატრონის/მიმკედლებლის მოსაძიებლად განახორციელოს აუცილებელი ღონისძიებები (მათ შორის, ცხოველის ფოტოსურათისა და მის შესახებ დეტალური ინფორმაციის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს ვებგვერდზე ან/და სოციალურ ქსელებში განთავსება), ხოლო ამ ღონისძიებების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში – დაარეგისტრიროს ცხოველი, როგორც უპატრონო, ამ წესის მე-4 მუხლის შესაბამისად.

6. მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით სავალდებულო დაჭერას ექვემდებარება:

ა) ადამიანისა ან/და ცხოველების სიცოცხლისა ან/და ჯანმრთელობისთვის საფრთხის მატარებელი, აგრესიის აშკარად გამოხატული ნიშნების მქონე ცხოველები;

ბ) ადამიანის ან/და ცხოველების სიცოცხლისა ან/და ჯანმრთელობისათვის საფრთხის მატარებელი, საშიში დაავადებების აშკარად გამოხატული ნიშნების მქონე ცხოველები;

გ) უმეთვალყურეო ცხოველები, რომლებმაც მოახდინეს ადამიანის ან ცხოველის დაკბენა/დაკაწვრა/დადორბვლა;

დ) სავარაუდოდ, დაკარგული ან უპატრონოდ/მეთვალყურეობის გარეშე მიტოვებული ცხოველები, რომელთა ჯიშის გარეგანი მახასიათებლები ან/და იდენტიფიკაციის ვიზუალური ნიშნები ან/და ქცევითი თავისებურებები მიუთითებენ, რომ ცხოველს შესაძლოა ჰყავს პატრონი;

ე) სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ მდგომარეობაში აღმოჩენილი ტრავმირებული და განსაცდელში მყოფი ცხოველები.

7. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია განახორციელოს აქტიური კომუნიკაცია და კოორდინაცია სააგენტოსთან, მათ შორის, სადემინგეციო ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ღონისძიებების ჩატარებით, ცოფის ან სხვა ზოონოზური დაავადებების გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

მუხლი 10. ცხოველის ევთანაზია

1. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრძალულია ცხოველის ევთანაზია არაკომპეტენტური მეთოდებით.

2. ცხოველის ევთანაზია უნდა განხორციელდეს ვეტერინარის დასკვნის საფუძველზე, მხოლოდ უფლებამოსილი პირის – ვეტერინარის ან ვეტერინარ-ტექნიკოსის მიერ ვეტერინარის ზედამხედველობით. ცხოველისთვის ფიზიკური ტკივილისა და ტანჯვის მიყენების გარეშე, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებებით ან მასთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებებით.

3. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცხოველის ევთანაზიის საფუძველი შეიძლება იყოს ცხოველის:

ა) არაკორექტირებადი აგრესიული ქცევა, რომელიც არ იძლევა სხვა ცხოველთან ან/და ადამიანთან მისი თანარსებობის საშუალებას, მათ შორის, იდიოპათიური აგრესია (მყისიერი სიბრაზის სინდრომი) და დაკბენა, რომლებიც პროვოცირებული არ არის მისდამი აგრესიით ან არასათანადო მოპყრობით;

ბ) სრული დამბლა, პარეზი ან/და სხვა განუკურნებელი დაავადება;

გ) ცოფით დაინფიცირებაზე/დაავადებაზე საეჭვო შემთხვევა მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობების საფუძველზე;

დ) ისეთი ინფექცია, რომელიც განსაკუთრებით საშიშია ადამიანის ან/და ცხოველის ჯანმრთელობისთვის ან/და სიცოცხლისთვის;

ე) ისეთი ტრავმა ან/და დაზიანება, რომელიც სიცოცხლესთან შეუთავსებელია;

ვ) შეუქცევი დაუძლურება;

ზ) სიცოცხლესთან შეუთავსებელი თანდაყოლილი ნაკლი.

4. ცხოველის ევთანაზიის პროცედურის დასრულების შემდეგ ვეტერინარი უნდა დარწმუნდეს, რომ ცხოველი მკვდარია, რის შემდეგაც დასაშვებია მისი ლეშის განკარგვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევაში საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი ორგანო

1. ამ წესის დარღვევისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“-ს შესაბამისად.

2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე და 103²-103⁴ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული - ზედამხედველობის სამსახური (შემდგომში ზედამხედველობის სამსახური).

მუხლი 12. პასუხისმგებლობა და ხარჯების ანაზღაურება

1. ამ წესის მოქმედება ვრცელდება ცხოველის პატრონზე, ხოლო ცხოველის მესაკუთრის/პატრონის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში – იმ პირზე, რომელიც ფაქტობრივად ახორციელებს ცხოველზე ზედამხედველობას და რომლის ქმედებითაც დაირღვა ამ წესით დადგენილი მოთხოვნები.

2. მეთვალყურეობის გარეშე მყოფ ცხოველს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო გადაიყვანს ცხოველთა თავშესაფარში, ამ წესით დადგენილი შემდგომი პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია გაატაროს ამ წესით დადგენილი ღონისძიებები.

4. თავშესაფარში გადაყვანილი ცხოველი მეპატრონეს დაუბრუნდება მხოლოდ თავშესაფარში ცხოველის გადაყვანის და მოვლა-პატრონობის ხარჯების ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტების უფლებამოსილ ორგანოში წარდგენის შემდეგ.

5. თავშესაფარში გადაყვანილი, ამ წესის შესაბამისად იდენტიფიცირებული და რეგისტრირებული ცხოველი მეპატრონეს დაუბრუნდება მონაცემთა ერთიან ბაზაში ცხოველის მონაცემების შემოწმებისა და ცხოველის პატრონის/მფლობელის იდენტიფიკაციის საფუძველზე. თავშესაფარში გადაყვანილი ცხოველის მეპატრონის დადგენის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია შეატყობინოს მეპატრონეს მის საკუთრებაში არსებული ცხოველის თავშესაფარში გადაყვანის ფაქტის შესახებ, ამ ფაქტის დადგომის მომენტიდან არაუგვიანეს სამი კალენდარული დღისა.

6. მეპატრონისთვის ცხოველის დაბრუნების შესახებ შედგება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენელი და ცხოველის მეპატრონე. მიღება-ჩაბარების აქტს თან უნდა დაერთოს ცხოველის ფოტოსურათი.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტებისა და მათი შინაარსის ნამდვილობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მათ წარმომდგენს.

8. იმ შემთხვევაში, თუ თავშესაფარში გადაყვანიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში არ დადგინდება ცხოველის მესაკუთრე/მეპატრონე ან იგი არ მიმართავს უფლებამოსილ ორგანოს ცხოველის დაბრუნების მიზნით, ორგანო უფლებამოსილია თანმიმდევრულად განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები:

ა) ცხოველის გასხვისება (გაჩუქება);

ბ) ამ წესით დადგენილი სხვა ღონისძიებები, მათ შორის, ცხოველის ბინადრობის პირვანდელ არეალში დაბრუნება.

9. კონფისკაციას დაქვემდებარებულ ცხოველს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო გადაიყვანს თავშესაფარში, ამ მუხლით დადგენილი შემდგომი პროცედურების უზრუნველყოფის მიზნით.

10. ცხოველის თავშესაფარში გადაყვანიდან 10 (ათი) სამუშაო დღის შემდეგ, ცხოველის გაჩუქების მიზნით, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო უზრუნველყოფს ცხოველის ფოტოსურათებისა და მის შესახებ დეტალური ინფორმაციის (სახეობა, სქესი, ასაკი, ჯიში და სხვა) გამოქვეყნებას უფლებამოსილი ორგანოს ვებგვერდზე, ასევე, ცხოველთა შესახებ არსებულ სხვა პროაქტიულ სივრცეში (ვებგვერდები, სოციალური ქსელები, ელექტრონული ფორუმები, სხვა მედიასაშუალებები).

11. თავშესაფარში გადაყვანილი ცხოველი ჩუქების ფორმით გადაეცემა დაინტერესებულ პირს იმ შემთხვევაში, თუ იგი განაცხადებს წერილობით თანხმობას მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ ცხოველის ადგილსამყოფლის და მისი მოვლა-პატრონობის წესის დაცვის პერიოდულ გადამოწმებაზე.

12. თავშესაფრიდან ცხოველის ჩუქებით გაყვანამდე იდენტიფიკაციის/რეგისტრაციის გარეშე მყოფი ცხოველი ექვემდებარება სავალდებულო იდენტიფიკაციას და რეგისტრაციას, ამ წესის საფუძველზე.

13. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლით განსაზღვრული ღონისძიებების გატარების შემდეგ ცხოველი 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში არ გაჩუქდება, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო გაატარებს ამ წესით დადგენილ სხვა ღონისძიებებს.

14. ამ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული ვადა შეჩერდება საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი პირი გაასაჩივრებს მის მიმართ გამოცემულ საჯარიმო ქვითარს – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმს.

მუხლი 13. გარდამავალი დებულებები

ის საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული აღნიშნულ წესში, წესრიგდება „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად.

ცხოველის სარეგისტრაციო მოწმობა
№ 0000001

ცხოველი:

1. სახეობა
2. ჯიში
3. სქესი
4. ასაკი
5. გარეგანი აღწერილობა
6. იდენტიფიკატორი
- (მიკროჩიპის/ტრანსპონდერის ან საყურე ნიშნის (საჭდის) №)
7. მუდმივი ადგილსამყოფლის მისამართი

ცხოველის პატრონი:

1. სახელი, გვარი
2. პირადი №
3. მისამართი (ფაქტობრივი და რეგისტრაციის)
4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (სახლის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

რეგისტრატორი:

1. სახელი, გვარი
2. დასახელება, ID №
3. მისამართი (ფაქტობრივი და იურიდიული)
4. საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (ოფისის, მობილური), ელექტრონული ფოსტა)

..... /სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

„ “ 20 ... წ.
(თარიღი)



ცხოველის პატრონი:

..... /სახელი, გვარი/
(ხელმოწერა)

„ “ 20 ... წ.
(თარიღი)

(ცხოველის სარეგისტრაციო მოწმობის № 0000001 მეორე მხარე ან დანართი)

ცხოველების იდენტიფიკაციის რეესტრი

(იდენტიფიკაციის განმახორციელებელი დაწესებულების დასახელება და ID ან ფიზიკური პირის სახელი, გვარი)

№		იდენტიფიკატორის №		იდენტიფიკატორის სახე	იდენტიფიკატორის აღწერა (ფორმა, ფერი, წარწერა)		იდენტიფიკატორის დადების თარიღი					ცხოველი		პატრონი/მიმკვდლებელი			ჩატარებული ოპერაცია, თარიღი	იდენტიფიკაცია ჩატარა (სახელი, გვარი, ტელეფონის №)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	
		მიკროჩიპი/ტრანსპონდერი	საყურე ნიშანი (საჭდე)			სახეობა	ჯიში	სქესი	ასაკი	ექსტერიერის აღწერილობა	სახელი, გვარი	პირადი №	მისამართი (ფაქტიური და რეგისტრაციის)	საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი (სახლის, მობილური), ელ-ფოსტა)	სტერილიზაცია	კასტრაცია		

მონაცემები შეავსო-გადააგზავნა:

..... /სახელი, გვარი/

„ “ 20 ... წ.
(შედგენის თარიღი)

შენიშვნა: ცხრილი დგება და მონაცემები ივსება Excel-ის პროგრამაში.

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი ის გახლავთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3 პუნქტისა და „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი ადგილობრივ დონეზე არ არის მიღებული, აქედან გამომდინარე გადაწყდა შემოღებული და დამტკიცებული იქნას ზემოაღნიშნული წესი ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტით.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტით - ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცება, რათა სამართლებრივად დაიხვეწოს და მოწესრიგდეს აღნიშნული საკითხი.

ა.გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ინიციატივისა და მოთხოვნის საფუძველზე, განიხილოს და დაამტკიცოს ნორმატიული აქტის პროექტი, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი სახით, კერძოდ:

დადგენილების პირველი მუხლით მტკიცდება ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესი, დანართის შესაბამისად. ხოლო თანდართული წესი, კი დეტალურად აწესრიგებს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლების შექმნას ისეთი საქმიანობისთვის ან/და ქმედებისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანისა და შინაური ბინადარი ცხოველისთვის უსაფრთხო საარსებო გარემოს შექმნას. ასევე წესში განსაზღვრულია - ცხოველის კეთილდღეობის პრინციპები, ცხოველის მიტოვების აკრძალვა, ცხოველთა პოპულაციების მართვასა და კონტროლზე უფლებამოსილი ორგანოს უფლებამოსილება, მეპატრონე, ცხოველის მიკედლება, ცხოველთა მართვის სფეროში მონაწილე სუბიექტები, ცხოველის ვეტერინარული მომსახურება, თავშესაფარი, საშენი და მისი საქმიანობის ფარგლები, ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, პატრონიანი, უპატრონო/მიკედლებული ცხოველის პოპულაციის მართვა, პატრონიანი ცხოველის გადაადგილების ზოგადი მოთხოვნები, ცხოველის ევთანაზია, აღნიშნული საკითხები თუ როგორ წესრიგდება დეტალურად იხილეთ დადგენილების პროექტზე თანდართული წესი.

ხოლო წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებით წესრიგდება დადგენილების ამოქმედების და ძალაში შესვლის საკითხები.

ა.დ) ნორმატიული აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ნორმატიული აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში, რათა დროულად განხორციელდეს დასახელებული საკითხის სამართლებრივად მოწესრიგება.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2026 წლის 04 ივნისის NGOV52600018444 საკონსულტაციო დასკვნა.

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.



GOV 5 26 00018444



04/06/2026

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საკონსულტაციო დასკვნა

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულმა დეპარტამენტმა განიხილა 2026 წლის 29 მაისის №95-95261493 წერილით სამართლებრივი კონსულტაციისთვის წარმოდგენილი ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტები „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტში მოცემული „ქედის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“ ცვლილების მიზნით მე-8 მუხლის („მუნიციპალიტეტის მერი“) მე-3 პუნქტში შესატანი დამატებები გაუმართავია შინაარსობრივი და სამართლებრივი კუთხით, კერძოდ:

- „ე.ს¹“ და „ე.ს³“ ქვეპუნქტებში დასაზუსტებელია, რა სახის სტატუსის მინიჭებას ეხება საკითხი;
- „ე.ს¹“-„ე.ს⁴“ ქვეპუნქტებში ფრაზა - (მერი) „იღებს გადაწყვეტილებას ... პირ(ებ)ის განსაზღვრის საკითხზე“ არ არის სამართლებრივად სწორი და მიზანშეწონილია აღნიშნულის შეცვლა სიტყვებით „განსაზღვრავს.. პირ(ებ)ს“, რამდენადაც „მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 25 დეკემბრის №587 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის

სტატუსის მინიჭების/სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტის მე-2 მუხლში მითითებული, დადგენილების უკუქცევით ასამოქმედებელი ვადის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია აქტის პრეამბულაში „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის დასახელება.

2. „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და ყოლის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი თითქმის უცვლელად იმეორებს „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლებს და არ აწესებს კონკრეტულ ნორმებს ქედის მუნიციპალიტეტში შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობის, გასეირნების, მგზავრობის, ღონისძიებებში მათი მონაწილეობის მოთხოვნების განსაზღვრის, უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის, შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში პოპულაციების მონიტორინგისა და თავშესაფრების ორგანიზების კუთხით. კერძოდ, 16-მუხლიან წესში სიტყვა-სიტყვით არის გადმოტანილი კანონის ზოგადი ნორმები, დადგენილების პროექტის სარეზოლუციო ნაწილის მე-2-მე-4 მუხლები კი „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის („კანონის ამოქმედება“) ანალოგიით ადგენს დანართით დამტკიცებული წესის მუხლების ამოქმედების სხვადასხვა ვადებს: მე-2 მუხლით დადგენილია დანართის ჩამონათვალი მუხლების გამოქვეყნებისთანავე ამოქმედება, მე-3 მუხლით - 2026 წლის 1 ივლისიდან, ხოლო მე-4 მუხლით - 2028 წლის 1 ივლისიდან. კანონქვემდებარე აქტში სპეციალური საკანონმდებლო აქტის ნორმების უცვლელად გადმოტანა მხოლოდ ფორმალურად პასუხობს „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-6 პუნქტით მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოსთვის განსაზღვრულ მოთხოვნას და საჭიროებს შესაბამის რედაქტირებას.

დადგენილების პროექტის დანართით დასამტკიცებელი წესის მე-2 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტსა და მე-5 მუხლში სავალდებულოა მუნიციპალიტეტის საკრებულომ განსაზღვროს და დაზუსტებით მიუთითოს „მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი ორგანო“, რომელიც, „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, იმავდროულად, იქნება მარეგისტრირებელი ორგანოც და განახორციელებს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილ უფლებამოსილებებს.

გარდა ამისა, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა განსაზღვროს მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეული ან სხვა პირი, რომელიც უფლებამოსილი იქნება, განახორციელოს კანონმდებლობის შესაბამისი რეაგირება „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 103-ე და 103²-103⁴ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე. ამასთან ერთად, შესაძლებელია, აუცილებელი გახდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის - საჯარიმო ქვითრის ფორმისა და მასთან დაკავშირებული სამართალწარმოების სხვა დოკუმენტების ფორმების დამტკიცებაც.

განსახილველი დადგენილების პროექტებზე თანდართული განმარტებითი ბარათები სრულად არ აკმაყოფილებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნებს და საჭიროებს გადამუშავებას.

ამდენად, დადგენილებების პროექტების მიღება მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზემოაღნიშნული შენიშვნების მიხედვით გადამუშავების შემთხვევაში.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
ადმინისტრაციის უფროსი

ლევან ჟორჯოლიანი



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
2026 წლის -- ივნისი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭინკაძეების უსახელო გეოგრაფიული ობიექტისთვის
სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭინკაძეებში მდებარე უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს მიენიჭოს სახელწოდება — „მე-8 ქუჩის II ჩიხი“, ორთოფოტოს თანახმად (დანართი №1).

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს:

ა) სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს;

ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს;

გ) საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას;

დ) სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;

ე) ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭინკაძეების უსახელო გეოგრაფიული ობიექტისთვის სახელის მინიჭების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 მაისის №გ-95.95261494 განკარგულება.

4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭინკაძეების უსახელო გეოგრაფიული ობიექტისთვის სახელის მინიჭების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (განკარგულება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მოთხოვნათა შესრულება.

ა.ბ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღების მიზანი:

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭინკაძეებში მდებარე უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს მიენიჭოს სახელწოდება — „მე-8 ქუჩის II ჩიხი“, ქედის მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილების შესაბამისად.

ა.გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის პროექტის შესაბამისად, ხდება ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, სოფელ ჭინკაძეებში მდებარე უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს, ნაცვლად მე-8 ქუჩის I ჩიხისა, უნდა მიენიჭოს სახელწოდება მე-8 ქუჩის II ჩიხი, აქედან გამომდინარე, ხდება ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2026 წლის 29 მაისს მიღებული განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება და ახალი განკარგულების მიღება.

ბ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის პროექტის მიღების პროცესში ადგილი არ ჰქონია კონსულტაციის მიღებას.

დ.ა) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის პროექტის შემუშავებაში არ ყოფილა გაწეული რეკომენდაციები.

დ.ბ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე.

ზ) ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია.

დანართი N1 (ორთოფოტო).





ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2026 წლის -- ივნისი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (უძრავი/მოძრავი ქონება) ნუსხა თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 ოქტომბრის Nგ-95.95252831 განკარგულება.
4. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს (მამუკა თურმანიძეს).
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი № 358).
6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო
ობიექტების (უძრავი/მოძრავი ქონების) ნუსხა

N	ქონების დასახელება	ქონების მისამართი	მესაკუთრე	შენიშვნა-ნაგებობის ფართობი კვ.მ	დაკავებული მიწის ფართობი კვ.მ	მიწის საკადასტრო კოდი	გასაყიდი ქონების მოცულობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საწყისი (თაღიანი) გასაყიდი ფასი (ლარი)	შენიშვნა
1	ყოფილი თამბაქოს დამზადების ადმინისტრაციული შენობა (კანტორა)	დაბა ქედა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №3	ქედის მუნიციპალიტეტი	154.50	132.0	21.03.33.072			17430.00	
2	სასურსათო მაღაზია (პრიანიკები)	სოფელი ქვ. მახუნცეთი	ქედის მუნიციპალიტეტი	115.30	125.0	21.01.37.007 .01.500			18594.00	
3	ყოფილი სასადილოს შენობა	სოფელი მერისი	ქედის მუნიციპალიტეტი	72.40	113.0	21.05.33.026			6922.00	
4	ყოფილი რძის ქარხანა	დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა N36	ქედის მუნიციპალიტეტი	547.40	4163.0	21.03.35.005			106233.00	
5	FORD TRANSIT 2.4D (მიკროავტობუსი) სახ. ნომრით HB137HH	დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა (სპორტსკოლის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						9000.00	
6	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	დაბა ქედა, ტბელ აბუსერძის ქუჩა	ქედის მუნიციპალიტეტი		39.0	21.03.34.584			2574.00	
7	ავტომობილის ასასვლელი (სარემონტო) რამპა	სოფელი ძენწმანი	ქედის მუნიციპალიტეტი						1150.00	
8	ალუმინის მეორადი კარ-ფანჯრები	სოფელი ცხემნა	ქედის მუნიციპალიტეტი				204.62 კვ.მ.	50.00	7675.00	საწყისი საპრივატიზებო თანხა 10231 ლარი შემცირდეს 25 %-ით და განისაზღვროს 7675,0 ლარი.
9	ავტომანქანა - „HONDA CR-V 2.4“ სახელმწიფო ნომერი DH-971-HD	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						1300.00	
10	ავტომანქანა „HONDA CR-V 2.01“ სახელმწიფო ნომერი CH-977-HC	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3(მერიის ეზო)	ქედისმუნიციპალი ტეტი						1100.00	
11	მიკროავტობუსი „MERSEDES-BENC SPRINTER“ სახელმწიფო ნომერი JJ-923-AA	დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა (სპორტსკოლის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						34400.00	
12	ავტომანქანა "MITSUBISHI outlander". სახელმწიფო ნომერი XX-041-PX	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						5000.00	
13	ავტომანქანა - MITSUBISHI L200. სახელმწიფო ნომერი HB-838-BH	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						18000.00	
14	ავტომანქანა - MITSUBISHI IO. სახელმწიფო ნომერი HB-923-HH	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						4500.00	

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის შესახებ.

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 124-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტი შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცება.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დადგენა, რომელითაც შესაძლებელი იქნება ელექტრონული აუქციონის ფორმით განხორციელდეს პრივატიზება - საკუთრებაში გადაცემა როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირებს.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში შეტანა შემდგომი განკარგვის მიზნით.

გაცნობებთ, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 10 ოქტომბრის Nგ-95.95252831 განკარგულებით დამტკიცებულ მუნიციპალური ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანილი იყო 11 (თერთმეტი) ერთეული ქონება. ამათგან, სამი ერთეული ქონება, კერძოდ:

სოფელ პირველ მაისში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 21.02.32.387) (საპრივატიზაციო ნუსხაში N8), შავი ლითონის კონსტრუქციის ჯართის (საპრივატიზაციო ნუსხაში N9) და სპილენძის მეორადი ფურცლების (საპრივატიზაციო ნუსხაში N11) პრივატიზება განხორციელდა გაიყიდა, ამიტომ ამოღებული უნდა იქნას ნუსხიდან, ხოლო დასახელებული ქონების პრივატიზაციის შედეგად ადგილობრივ ბიუჯეტში მიღებულია დამატებითი შემოსავალი - 31871.23 ლარის ოდენობით.

ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში დამატებით შესატანია მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული 6 (ექვსი) ერთეული მოძრავი ქონება, ესენია:

1. ავტომანქანა - „HONDA CR-V 2.4“ სახელმწიფო ნომერი DH-971-HD, შეფასებულია 1 300 (ათას სამასი) ლარად.

2. ავტომანქანა „HONDA CR-V 2.01“ სახელმწიფო ნომერი CH-977-HC, შეფასებულია 1 100 (ათას ასი) ლარად.

3. მიკროავტობუსი „MERSEDES-BENC SPRINTER“ სახელმწიფო ნომერი JJ-923-AA, შეფასებულია 34 400 (ოცდაათოთხმეტი ათას ოთხასი) ლარად.

4. ავტომანქანა "MITSUBISHI outlander". სახელმწიფო ნომერი XX-041-PX, შეფასებულია 5000 (ხუთი ათასი) ლარად.

5. ავტომანქანა - MITSUBISHI L200. სახელმწიფო ნომერი HB-838-BH, შეფასებულია 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარად.

6. ავტომანქანა - MITSUBISHI IO. სახელმწიფო ნომერი HB-923-HH შეფასებულია 4500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარად.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ავტომანქანა მოძველებულია და ხშირად გამოდის მწყობრიდან, მათ შორის „HONDA CR-V 2.4“, „HONDA CR-V 2.01“, "MITSUBISHI outlander" სრულად უმოქმედოა, რადგან დაზიანებული აქვთ გადაცემათა კოლოფები და ძრავები. მათი მოვლა-შენახვა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და მიზანშეწონილია მათი გასხვისება ელექტრონულ აუქციონის საშუალებით.

ქედის კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისას მოხსნილი იქნა არსებული ალუმინის კარ-ფანჯრები, რომელიც მეორადი მასალების სახით ექსპერტიზის მიერ ერთი კვადრატული მეტრის ღირებულება შეფასებული იქნა 50 ლარად. სულ აზომვის შედეგად შეადგინა 204,62 კვ. მეტრი, ხოლო საერთო ღირებულება განისაზღვრა 10231 (ათი ათას ორას ოცდათერთმეტი) ლარი. ზემოთ ხსენებული

მეორადი კარ-ფანჯრები ელექტრონულ აუქციონზე ალუმინის ჯართის სახით გატანილი იყო ორჯერ, მაგრამ მონაწილეობა არ მიიღო არცერთმა პრეტენდენტმა, რის გამოც აუქციონი არ შედგა და ვერ მოხერხდა მისი რეალიზაცია. გამომდინარე აქედან მიზანშეწონილია მის ღირებულების დაახლოებით 25%-ით შემცირება, კერძოდ: 7675 (შვიდი ათას ექვსას სამოცდათხუთმეტი) ლარამდე, რათა შემდგომში ფასდაკლებით გატანილი იქნას საპრივატიზაციოდ აუქციონზე. ასევე, ელექტრონულ აუქციონზე გატანილი იყო ავტომანქანა FORD TRANSIT 2.4D (მიკროავტობუსი) სახ. ნომრით HB-137-HH. (საპრივატიზაციო ნუსხაში N5) რომელიც ბოლო აუქციონზე გატანილი იყო 4800 (ოთხი ათას რვაასი) ლარად, მაგრამ არ მოხდა მისი რეალიზაცია. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნით სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მოხდა მისი ხელახალი შეფასება, რითაც ავტომანქანის გასაყიდი ფასი შემცირების ნაცვლად გაზრდილია და მისი ღირებულება შეადგენს 9000 (ცხრა ათასი) ლარს. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია საპრივატიზაციო ნუსხაში შევიდეს ცვლილება და ავტომანქანა FORD TRANSIT-ის (სახ. ნომრით HB-137-HH) გასაყიდი ფასი განისაზღვროს 9000 ლარით.

ყოველივე აქედან გამომდინარე ქედის მუნიციპალური ქონების საპრივატიზაციო ნუსხა ახლიდან ჩამოყალიბდა და ნუსხაში შეტანილი ქონების საერთო რაოდენობა განისაზღვრა 14 (თოთხმეტი) ერთეულით.

ასევე წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად ხდება „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს 2025 წლის 10 ოქტომბრის Nგ-95.95252831 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება.

ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში რათა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილების შემდეგ, დროულად განახორციელოს აუქციონის გამოცხადება.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზრდის თვალსაზრისით, ვინაიდან მუნიციპალიტეტი მიიღებს პრივატიზაციის შედეგად გასხვისებული ქონების საფასურს, რომლის ოდენობაც დაფიქსირდება აუქციონის საბოლოო შედეგის დროს.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური (სამსახურის უფროსი გ. წითელაძე).

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო
ობიექტების (უძრავი/მოძრავი ქონება) ნუსხა

N	ქონების დასახელება	ქონების მისამართი	მესაკუთრე	შენობა- ნაგებობის ფართობი კვ.მ	დაკავებული მიწის ფართობი კვ.მ	მიწის საკადასტრო კოდი	გასაყიდი ქონების მოცულობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საწყისი (მთლიანი)გას აყიდი ფასი (ლარი)	შენიშვნა
1	ყოფილი თამბაქოს დამზადების ადმინისტრაციული შენობა (კანტორა)	დაბა ქედა, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №3	ქედის მუნიციპალიტეტი	154.50	132.0	21.03.33.072			17430.00	
2	სასურსათო მაღაზია (პრიანიკები)	სოფელი ქვ. მახუნცეთი	ქედის მუნიციპალიტეტი	115.30	125.0	21.01.37.007.01.5 00			18594.00	
3	ყოფილი სასადილოს შენობა	სოფელი მერისი	ქედის მუნიციპალიტეტი	72.40	113.0	21.05.33.026			6922.00	
4	ყოფილი რძის ქარხანა	დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა N36	ქედის მუნიციპალიტეტი	547.40	4163.0	21.03.35.005			106233.00	
5	FORD TRANSIT 2.4D (მიკროავტობუსი) სახ. ნომრით HB137HH	დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა (სპორტსკოლის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						9000.00	დასკვნის შედეგად ფასი გაზრდილია
6	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა	ქედის მუნიციპალიტეტი		39.0	21.03.34.584			2574.00	
7	ავტომობილის ასასვლელი (სარემონტო) რამპა	სოფელი ძენწმანი	ქედის მუნიციპალიტეტი						1150.00	
8	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფელი პირველი მაისი	ქედის მუნიციპალიტეტი		244.0	21.02.32.387			24978.00	გაიყიდა და ამოსაღებია ნუსხიდან
9	შავი ლითონის კონსტრუქციის ჯართი	სოფელი ეკგენიძეები	ქედის მუნიციპალიტეტი				1487.18 კგ.	0.45	669.23	გაიყიდა და ამოსაღებია ნუსხიდან
10	ალუმინის მეორადი კარ-ფანჯრები	სოფელი ცხემნა	ქედის მუნიციპალიტეტი				204.62 კვ.მ.	50.00	7675.00	ფასი უნდა შემცირდეს 25 %- მდე
11	სპილენძის მეორადი ფურცლები	დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა	ქედის მუნიციპალიტეტი				228.0 კგ	18	4104.00	გაიყიდა და ამოსაღებია ნუსხიდან
12	ავტომანქანა - „HONDA CR-V 2.4“ სახელმწიფო ნომერი DH-971-HD	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						1300.00	დასამატებია ნუსხაში

13	ავტომანქანა „HONDA CR-V 2.01“ სახელმწიფო ნომერი CH-977-HC	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						1100.00	დასამატებია ნუსხაში
14	მიკროავტობუსი „MERSEDES-BENC SPRINTER“ სახელმწიფო ნომერი JJ- 923-AA	დაბა ქედა, რუსთაველის ქუჩა (სპორტსკოლის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						34400.00	დასამატებია ნუსხაში
15	ავტომანქანა "MITSUBISHI outlander". სახელმწიფო ნომერი XX-041-PX	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						5000.00	დასამატებია ნუსხაში
16	ავტომანქანა - MITSUBISHI L200. სახელმწიფო ნომერი HB-838-BH	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						18000.00	დასამატებია ნუსხაში
17	ავტომანქანა - MITSUBISHI IO. სახელმწიფო ნომერი HB-923-HH	დაბა ქედა, კოსტავას ქ. N3 (მერიის ეზო)	ქედის მუნიციპალიტეტი						4500.00	დასამატებია ნუსხაში

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № --

2026 წლის -- ივნისი

დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის III კვარტლის
სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმა თანახმად დანართი №1-სა.
2. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებმა უზრუნველყონ სამუშაო გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესწავლა და მომზადება დადგენილ ვადაში.
3. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
4. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის III კვარტლის სამუშაო გეგმა

№	განსახილველი საკითხები და გასატარებელი ღონისძიებები	განხილვის თარიღი	საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე	საკითხის განხილვა საკრებულოს სხდომაზე	პასუხისმგებელი პირი საკითხის მომზადებაზე
1	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2025 წლის ანგარიშის მოსმენა - განხილვა	ივლისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი
2	ა(ა)იპ „ქედის სახელოვნებო სკოლა“ - ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	ივლისი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ა(ა)იპ „ქედის სახელოვნებო სკოლა“ - ს დირექტორი
3	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2025 წლის მდგომარეობით აუქციონის ჩატარების შესახებ ანგარიშის მოსმენა - განხილვა	აგვისტო	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი
4	შპს „ქედის წყალკანალი“- ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	სექტემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	შპს „ქედის წყალკანალი“- ს დირექტორი
5	ა(ა)იპ „ქედის სასპორტო სკოლი“ - ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა	სექტემბერი	კომისიის სხდომაზე	საკრებულოს სხდომაზე	ა(ა)იპ „ქედის სასპორტო სკოლი“ - ს დირექტორი

შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“

ს/კ 246754150

მისამართი: დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის №13

2025 წლის საქმიანობის ანგარიში

შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოში“ 2025 წელს დასაქმებული იყო 27 ადამიანი. (5 ქალი, 22 კაცი). მათ შორის:

- 10 ადამიანი - ადმინისტრაცია;
- ამბულატორიული მომსახურების პროგრამის ფარგლებში ნივების/უაზის 10 მძღოლი;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების პროგრამის ფარგლებში ელექტრომობილის 3 მძღოლი;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების პროგრამის ფარგლებში მწვანე ავტომობილის 2 მძღოლი და 2 კონტროლიორი.

შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“ ახორციელებს 2 პროგრამას: ამბულატორიული მომსახურების და საზ. ტრანსპორტის მომსახურების, რომლის ფარგლებში დამტკიცებული ჰქონდა შესაბამისი ბიუჯეტები.

ამბულატორიული მომსახურების პროგრამის 2025 წლის ბიუჯეტის თანხა იყო 166 300 ლარი (რაც 2024 წლის ამავე პროგრამის ბიუჯეტთან შედარებით 24 020 ლარით მეტია. 2024 წლის ბიუჯეტი იყო 142 280 ლარი). 2025 წლის ამავე პროგრამით გათვალისწინებული ხარჯების ჯამი იყო 136 336,49 ლარი, ანუ დაახლოებით 81,98% იქნა ათვისებული მთლიანი ბიუჯეტიდან. რაც შეეხება დარჩენილ 18,02%, ეს ეკონომია განპირობებული იყო საწვავების და სასაწყობე ფართის ქირის სრულად არ/ვერ ათვისებით.- ხარჯები მოიცავდა როგორც 10 მძღოლის ხელფასს, ასევე საწვავის, ავტომობილების რემონტის, დაზღვევის, ვულკანიზაციის, GPS მომსახურების, ტექნიკური დათვალიერების, ზეთი/ფილტრისა და უნოფორმის ხარჯს. ორგანიზაციის კოორდინირებული საქმიანობით არ შეფერხებულა ათივე ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის ექიმები/ექთნების ვიზიტები პაციენტებთან და ლოგიკური დროის ფარგლებში რემონტდებოდა ნივები და უაზი, თუმცა რაც უფრო დრო გადის თითოეული ავტომობილის რემონტის ხარჯი იზრდება.

საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის (ელექტრომობილი) 2025 წლის ბიუჯეტი იყო 36 510 ლარი. პროგრამის ხარჯები 2025 წელში იყო 36 405,69 ლარი, რომელიც მთლიანი ბიუჯეტის 98,89% არის. ეს ხარჯები მოიცავდა 3 მძღოლის ხელფასს, ავტომობილის დაზღვევა, რემონტი, ვულკანიზაცია და უნიფორმა. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკი დამტკიცებულია შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოს“ დირექტორის ბრძანების შესაბამისად. საზ. ტრანსპორტით დღეში დაახლოებით 150 ადამიანი გადაადგილდება, რაც თვის მონაცემებით დაახლოებით 5000 ადამიანს გულისხმობს, რაც ნიშნავს იმას, რომ ამ ტრანსპორტის არსებობა მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია და საზოგადოების კმაყოფილებას იწვევს.

ამავე პროგრამაში გათვალისწინებულია ე.წ „მწვანე ავტობუსის“ ბიუჯეტი, რომელიც ჯამში იყო 87 056 ლარი, თუმცა აქედან მუნიციპალური ბიუჯეტი იყო 62856 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსულობებით გათვალისწინებული 24200 ლარი. ამ პროგრამაში გათვალისწინებული ბიუჯეტის მაქსიმალურად ათვისება მოხდა და საკუთარი შემოსავლებიც დაიხარჯა შესაბამისად. 2025 წლის საკუთარი შემოსავლები იყო 22 630 ლარი. ეს ხარჯები მოიცავდა დასაქმებულთა ხელფასებს, ავტობუსის დაზღვევას, საწვავს, ფორმას, სალარო აპარატის, საბურავების, ზეთი/ფილტრის, პროგრამირების და ბანკის საკომისიოს ხარჯს.

გამომდინარე იქიდან, რომ ავტობუსი, რომელიც ქედა-ბათუმის მიმართულების მოძრაობს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე შეღავათებს ავრცელებს სტუდენტებზე, სკოლის მოსწავლეებზე, შშმ პირებზე, ომის ვეტერანებზე.

გარდა ამისა, ქედა-ბათუმის მიმართულებით მოძრაობისათვის აუცილებელი გახდა ე. წ. “BUS LINE”-ზე გავლის ნებართვის აღება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაჯარიმდებოდა ორგანიზაცია. აღნიშნული ნებართვა 2025 წელსვე მიიღო შპს “ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმომ”.

რაც შეეხება შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოს“ 2025 წლის ბიუჯეტს, 129 700 ლარი იყო, ხარჯვა (მუხლების მიხედვით) 124 967,78 ლარი. ათვისებული იქნა მაქსიმალურად. ეს ხარჯები მოიცავდა ხელფასი, საკანცელარიო, რეცხვა-ქიმწმენდისა და კავშირგაბმულობის ხარჯებს, ასევე საწვავს და სხვა მცირე ხარჯებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციამ გასწია თაბამსრომლის გადამზადების ხარჯი და თუ წინა წელს ჩვენი ორგანიზაციის სუსტ მხარეს შესყიდვების სპეციალისტის არ ყოლა წარმოადგენდა, ამ 2025 წლის მაისის თვიდან გვყავს შესყიდვების სპეციალისტი. ასევე გვყავს მრეცხავი, რომელიც ელ. მობილისა და მწვანე ავტობუსის სისუფთავის შენარჩუნებაზე ზრუნავს. ეს თანამსრომელი წლების განმავლობაში სოციალური

სააგენტოს პროგრამის ფარგლებში იყო დასაქმებული, ხოლო 2025 წლიდან შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოს“ თანამშრომელი გახდა.

მნიშვნელოვანია დისპეტჩერების შრომის აღნიშვნა, რადგან ისინი მაქსიმალურად ამოწმებენ სამარშრუტო ხაზების ტექ. გამართულობას, სისუფთავეს, დროითი ლიმიტების დაცვას, თანხის ამოღებას(საკუთარი შემოსავლები) და მათ მუდმივი კომუნიკაცია აქვთ მძღოლებთან, რაც კოორდინირებულ მუშაობას უწყობს ხელს.

შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოს“ აქვს საკუთარი შემოსავლებიც (77 ქედის სამარშრუტო ხაზისა და სოფლების სამარშრუტო ხაზებიდან).

1. 2025 წელს მუნიციპალიტეტის 10 ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებიდან.

2025 წელს საკუთარი შემოსავლები იყო ჯამში: 12 417 ლარი.

აქედან ორგანიზაციის ეფექტურად მუშაობისთვის გაიწია სხვადასხვა ტიპის ხარჯები შესაბამისი კრების ოქმების საფუძველზე.

გარდა ამისა შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმომ“ მთაში მგზავრთა გადაყვანის ტრანსპორტირების მომსახურება განახორციელა. გომის მთისა და საიჩაირის მიმართულებით. შესრულდა ჯამში 24 რეისი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2025 წლის ივნისიდან ორგანიზაცია გადავიდა ხაზინის მომსახურების სიტემაზე, რითაც ფინანსურ ოპერაციას უფრო სისტემატიზირებული და მოქნილი სახე მიეცა.

ძლიერი მხარე

სუსტი მხარე

1. მოწესრიგებული ქედა-ბათუმის და სოფლების სამარშრუტო ხაზები;	1. შეთანხმების ვერ მიღწევა ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტების სამარშრუტო ხაზების წარმომადგენლებთან;
2. ამბულატორიული მომსახურების ფარგლებში ექიმებისა და ექთნების შეუფერხებელი გადაადგილება;	2.
3. დაბა ქედის და მიმდებარე	

<p>ტერიტორიებზე მოსახლების შეუფერხებელი გადაადგილება;</p> <p>4. ახალი, ადაპტირებული ტრანსპორტი ქედა-ბათუმის მიმართულებით, რომელზეც ვრცელდება შეღავათით მგზავრობის საფასურები.</p> <p>5. მოიალაღეთა მთაში უფასოდ გადაადგილების პროგრამის განხორციელება</p> <p>6. უნიფორმებით უზრუნველყოფა თანამშრომლების (მძღოლების, კონტროლიორების).</p>	
<p>შესაძლებლობა</p>	<p>საფრთხე</p>
<p>1. სამომავლოდ გაჩერების ადგილების მოწყობა/მოწესრიგება</p> <p>2. ნიშნულების განთავსება/ელ დაფა მარშრუტის განრიგის შესახებ.</p> <p>3. სამარშრუტო მოძრაობის გრაფიკის მოწესრიგება</p> <p>4. დისპეტჩერებისთვის სამგზავრო ჯიხურის მოწყობა ბილეთების გაყიდვისთვის.</p> <p>5. მახუნცეთის ცენტრში ელ. დაფის მოწყობა “77” მწვანე ავტობუსის სამარშრუტო განრიგის საჩვენებლად ტურისტებისთვის/ ადგილობრივი მოსახლეობისთვის.</p> <p>6. ორგანიზაციის თანამშრომელთა უნიფორმებით უზრუნველყოფა ორგანიზაციის ატრიბუტებით.</p>	<p>1. სხვა მუნიციპალიტეტების (ხულო, შუახევი) სამარშრუტო ხაზზე მოძრავი ავტომობილების მიერ გრაფიკის არ დაცვა;</p>

<p>7. საკუთარი შემოსავლების მართვა ორგანიზაციული საჭიროების შესაბამისად.</p> <p>8. საკანონმდებლო ცვლილებები მგზავრთა გადაყვანის ნებართვასთან დაკავშირებით.</p>	
--	--

ა(ა)იპ ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა-ს 2025 - წლის

გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია

ქედის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა შეიქმნა 2023 წლის ნოემბრის თვეში. 2025 წლის სამტატო ნუსხაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს: სამტატო-27, შტატგარეშე-9, დღეის მდგომარეობით ყავს 10(ათი) მწვრთნელი. ბავშვთა საფეხბურთო კლუბში ფუნქციონირებს ფეხბურთის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი, მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა ტურნირებში და აქვთ შედეგები, სპორტული სწავლებები და ინტერესი დღითიდღე იზრდება, სადაც 200-მდე ბავშვია ჩართული. ა(ა)იპ ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა-ს მიზანია ბავშვთა და მოზარდთა ფეხბურთის პოპულარიზაცია, ხელშეწყობა და კლუბებში ჩართულობის უზრუნველყოფა. ასევე გოგონათა სექციის ფეხბურთის განვითარება. კლუბი ასევე უზრუნველყოფს ფეხბურთელების ტრანსპორტირებას გასვლით რესპუბლიკურ ტურნირებზე და ასევე ხდება ტრანსპორტირება (ფეხბურთელების გადაყვანა) ყოველდღიურ მეცადინეობაზე მონაწილეობის მიზნით.

კლუბისთვის მნიშვნელოვანია მაღალი მიღწევების სპორტის, სამწვრთნელო-სამეჯიბრო საქმიანობის მხარდაჭერა. ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების განვითარება, ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა სპორტსმენების გამოვლენა და მომზადება.

ა(ა)იპ ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა-ში დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს 2(სახეობა) სექცია, მათ შორის 8(რვა) ჯგუფი:

1. ფეხბურთი (გოგონები) 1 (ერთი) ჯგუფი;
2. ფეხბურთი (ბიჭები) 7(შვიდი) ჯგუფი;

ა(ა)იპ ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა-ს 2025 წლის ფეხბურთის სხვადასხვა ასაკობრივი გუნდი მონაწილეობას ღებულობდა გასვლით რესპუბლიკურ ტურნირებზე და გავიდა საპრიზო ადგილზე.

ფინანსური ანალიზი

2025 წელს ა(ა)იპ ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა-ს ფუნქციონირებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 647 700 (ექვსასორმოცდაშვიდიათასშვიდასი) ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 643 864 (ექვსასორმოცდასამიათასრვაასსამოცდაოთხი) ლარი და 90 თ.

კერძოდ:

- 1 სპორტულ ღონისძიებებზე გაიხარჯა 116 289,62 ლარი. ქვეყნის შიგნით ტურნირებზე 29 042 ლარი, ქვეყნის გარეთ ტურნირებზე 87 247,62 (ანტალია).
- 2 ოფისის ხარჯები 2 679,4
- 3 სამედიცინო ხარჯები, სპორცმენტა გამოკვლევა მედიკამენტების შეძენა 6 193,6 (აქედან სპორტსმენტა გამოკვლევა - 4900, სამედიცინო ხარჯი-1293,6)
- 4 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები 12 794,0 (აქედან უნიფორმა - 5594, ბეხბურთის ბურთი - 7200)
- 5 ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები 8975.5
- 6 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურება 108 680,0
- 7 შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 386 322,8
- 8 არაფინანსური აქტივები. კომპიუტერის შეძენის ხარჯი 1 800,0

მიღწეული შედეგები:

1. 2025 წლის 24 აპრილიდან 27 აპრილის ჩათვლით 4(ოთხი) დღით ქალაქ ბათუმში მუხრან ვახტანგაძის სახელობის სასპორტო სკოლის ფეხბურთის მოედანზე ჩატარდა საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის მიხეილ სალუქვაძის ტურნირი მინი ფეხბურთში 2009-2010 წლებში დაბადებულთა შორის.

ტურნირი რამდენიმე ეტაპად გაიმართა, ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ახალციხე 0 – 4 ბეთლემი ქედა და ფინალის საგზური მოვიპოვეთ, ფინალური შეხვედრა გაიმართა ვესტჯორჯია 2 – 3 ბეთლემი ქედა და გავხდით ტურნირის ჩემპიონი.

ასევე გვყავს ტურნირის სხვადასხვა ნომინაციაში დაჯილდოებულები:

1. საუკეთესო მეკარე ლუკა გოგიტიძე;
2. საუკეთესო გამათამაშებელი გეგა მახარაძე;
3. ტურნირის ბომბარდირი გეგა ბერიძე.

გუნდი დაჯილდოვდა ფასიანი საჩუქრებით: დიპლომებით, მედლებით და ფორმებით.

2. 2025 წლის 26 ივნისიდან 29 ივნისის ჩათვლით 4(ოთხი) დღით ქალაქ ბათუმში ბაკურის ფეხბურთის მოედანზე, სადაც ჩატარდა შავი ზღვის საფეხბურთო ღია ფესტივალი ბაკურის თასზე 2016 წელში დაბადებულთა შორის. ა(ა)იპ ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა-ს ფეხბურთის ნაკრები გუნდი გავიდა მეორე ადგილზე.

3. 2025 წლის 01 ივლისიდან 04 ივლისის ჩათვლით 4(ოთხი) დღით მივლინებული ვიყავი ქალაქ ბათუმში ბაკურის ფეხბურთის მოედანზე, სადაც ჩატარდა შავი ზღვის საფეხბურთო ღია ფესტივალი ბაკურის თასზე 2015 წელში დაბადებულთა შორის. ა(ა)იპ ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა-ს ფეხბურთის ნაკრები გუნდი გავიდა პირველ ადგილზე.

4. 2025 წლის 06 ივლისიდან 10 ივლისის ჩათვლით 5(ხუთი) დღით ქალაქ ბათუმში ბაკურის ფეხბურთის მოედანზე, სადაც ჩატარდა შავი ზღვის საფეხბურთო ღია ფესტივალი ბაკურის თასზე 2014 წელში დაბადებულთა შორის. ა(ა)იპ ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა-ს ფეხბურთის ნაკრები გუნდი გავიდა პირველ ადგილზე.

5. 2025 წლის 12 ივლისიდან 16 ივლისის ჩათვლით 5(ხუთი) დღით მივლინებული ვიყავი ქალაქ ბათუმში ბაკურის ფეხბურთის მოედანზე, სადაც ჩატარდა შავი ზღვის საფეხბურთო ღია ფესტივალი ბაკურის თასზე 2013 წელში დაბადებულთა შორის. ა(ა)იპ ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა-ს ფეხბურთის ნაკრები გუნდი გავიდა მეორე ადგილზე.